არასრულწლოვნის პირადი ინფორმაციის გავრცელებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ავტორი: მარიამი კერესელიძე

ხელმძღვანელი: მაკა ბუიღლიშვილი

ნაშრომი მომზადებულია ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის

სამართლის სკოლის, იურიდიული ფაკულტეტის, სამაგისტრო პროგრამისთვის

2021წელი

სარჩევი

აბრევიატურები 2

შესავალი 3

სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი 5

პირადი ინფორმაციის დაცვა თანმდევი გამოწვევები 12

არასრულწლოვანთა პირადი ინფორმაციის დაცვის გარანტიები 22

რა გავლენას ახდენს მედია და სოციალური მედია არასრულწლოვანი პირის
პირადი ინფორმაციის გავრცელებასა და დამუშავებაზე 30

არასრულწლოვნის პირადი ინფორმაციის გავრცელებით მიყენებული ზიანი 36

დასკვნა 47

გამოყენებული ლიტერატურა 49

აბრევიატურები:

EU - ევროპის კავშირი;

ECHR - ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში;

CoE - ევროპის საბჭო;

COPPA - ბავშვთა ონლაინ კონფიდენციალურობის დაცვის აქტი;

CRC - ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია;

CRRC - კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი;

IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი;

UDHR - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის;

UN - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;

UNICEF - ბავშვთა დაცვის ფონდი;

შესავალი:

ნაშრომის აქტუალურობა:

თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რაც მოხდა ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სახელმწიფოს შებოჭვის საშუალებით[1].

ბავშვები ადამიანის ყველა ძირითადი უფლების ბენეფიციარებს და სპეციალური რეგულირების სუბიექტებს წარმოადგენენ, მათი განსაკუთრებული მახასიათებლებიდან გამომდინარე[2]. ეს ნიშნავს, რომ, როგორც ბავშვთა უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია მიუთითებს, ბავშვის უფლებები, ადამიანის უფლებებია.

ლისაბონის შეთანხმების შესაბამისად[3], ევროპის კავშირის მიზანია მოახდინოს ბავშვთა უფლებების დაცვის გაძლიერება ევრო კავშირსა და მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულისთვის ხდება სხვადასხვა აქტივობების წახალისება, რათა მოხდეს 2030 წლისთვის მისაღწევი სამოქმედო გეგმის შესრულება.

ბავშვები წარმოადგენენ საზოგადოების მოწყვლად ფენას. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ცვლილებები, რომლების წინაშეც ბოლო პერიოდია დგას სრულად სამყარო (მაგ: კოვიდ.19 პანდემია და მისგან გამოწვეული ეკონომიკურ/სოციალური პრობლემები, არარეგულირებადი მიგრაციები და კონფლიქტები), პირველ რიგში აისახება არასრლუწლოვანთა ცხოვრების ხარისხზე. საზოგადოებისთვის ბოლო პერიოდის აქტუალურ პრობლემად იქცა მათი შვილების ნათელ მომავალზე ღელვა (23.5 მილიონი ბავშვი სიღარიბის ზღვარზეა), ხოლო ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებში ბავშვები ისევ ხდებიან

[1] მალხაზ ბეგიაშვილი, დავით ბოსტოღანაშვილი, დიანა ლეჟავა, დავით ლოსაბერიძე, მარიამ მკალავიშვილი, სოლომონ ნოზაძე, გიორგი ნოძაზე, დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა (სატრენინგო მასალები), თავი I. ლიბერალიზმი, §1. ადამიანის უფლებათა არსი და მნიშვნელობა (თბილისი: თბილისის პროექტთაბიურო, 2007), გვ. 12.

[2] Handbook on European law relating to the rights of the child გვ. 17.

[3] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:12016ME/TXT&from=EN Art. 3.3.

არათანაბარი და დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლნი, მაშინ როდესაც უწევთ უკიდურეს სიღარიბესთან ბრძოლაც[4].

თანამედროვე საზოგადოების პირობებში, როდესაც სოციალური მედია და თანამედროვე ინტერნეტ ტექნოლოგიები ელვის სისწრაფით ცვლიან სამყაროს, უფრო მეტად არის საჭირო დავიცვათ არასრულწლოვანთა უფლებები. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემის უფლების ნაწილია. ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, მონაცემთა დაცვა აღიარებულია დამოუკიდებელ ფუნდამენტურ უფლებად. მას განამტკიცებს ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ, კერძოდ, მისი მე-16 მუხლი და ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-8 მუხლი[5].

სწორედ სოციალური თუ ინტერნეტ მედია საშუალებებით, ხშირ შემთხვევაში ხდება არასრულწლოვნის პირადი ინფორმაციის გასაჯაროება, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს რიგი მოვლენებისა, რომელიც ხელს უშლის შემდგომში არასრულწლოვნის ადაპტაციას საზოგადოებაში, რასაც ხშირად მივყავართ სავალალო შედეგამდე. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არ მოხდეს კონკრეტულად პიროვნების დასახელება, ხშირია შემთხვევა, როცა ხდება ტერიტორიის, საცხოვრბელი სახლისა, თუ ოჯახის წევრების წარმოჩენა, რაც თავისთავად ამარტივებს პიროვნების იდენტიფიცირებას.[6]

ნაშრომში წარმოაჩენილი იქნება არასრულწლოვანთა პირადი ინფორმაციის არამიზნობრივად გამოყენებისგან დაცვის გარანტიები, ხარვეზები, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს პირადი ინფორმაციის გაუაზრებლად გავრცელებაში და ამ ხარვეზების აღმოფხვრის ეფექტიანი, პრაქტიკული, შედეგის მომცემი, მოდელი

[4] https://www.unicef.org/eu/european-union-strategy-rights-child

[5] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო - ლუქსემბურგი: ევროკავშირის საგამომცემლო სახლი, 2018.

[6] https://www.alia.ge/14-tslis-gogonam-thavi-moikla/ ; https://www.ambebi.ge/article/256373-akamde-ar-vuchivle-bavshvi-rom-daorsulda-da-axla-r/

პირადი ინფორმაციის დაცვისა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მხრივ, მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი

დემოკრატიული და სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება საზოგადოების ცხოვრების ხარისხის განვითარების გზაზე გადადგმული, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. დემოკრატიულ სახელმწიფოზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპზე, რაც მისი არსით წარმოადგენს დემოკრატიის ხარისხის გარანტს. საქართველოს მოსახლეობამ საკუთარი სურვილი, შეექმნა სამართლებრივი სახელმწოფო, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში 1995 წელს დაფიქსირდა, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპს პირველად 1921 წლის კონსტიტუციაში ვხვდებით. ამით საქართველო შეუერთდა იმ ქვეყების რიგს, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ევროპის საბჭოს[7] და ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან[8].

სამართლებრივი სახელმწიფოში უმაღლეს სოციალურ ღირებულებას წარმოადგენს ადამიანი, მისი ღირსება, უფლებები და თავისუფლებები. შესაბამისად აუცილებელია, სოციუმის ყველა წევრს თანაბრად ჰქონდეს განვითარების შესაძლებლობა[9]. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენს მინიმალურ სტანდარტს, რომელზეც სახელმწიფოს შეუძლია დააფუძნოს სამართლებრივი და პოლიტიკური გადაწყვეტილებები. აღნიშულიდან

[7] შდრ. 1949 წ. ევროპის საბჭოს დებულების პრეამბულის მე-2 აბზაცი და მე-3 მუხ. (CETS No, 001)

[8] შდრ. ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პრეამბულის მე-4 აბზაცი (CETS No, 005)

[9] საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო -კარი 1; გვ.20

გამომდინარე საჭიროა სახელმწიფო ემსახურებოდეს ადამიანს, რომელიც თავად წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი წარმოადგენს ადამიანის ღირსებისა და თავისუფლებების დასაცავად სახელმწიფო ხელისუფლების სამართლით შეზღუდვის მოთხოვნას, განასხვავებენ ამ პრინციპის მატერიალურ და ფორმალურ გაგებას, კერძოდ: მატერიალური გაგების შესაბამისად, სამართალი, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა უნდა მოხდეს, საჭიროა იყოს სამართლიანი, რადგან კანონები ან სხვა სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ფორმალურად სამართლის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, თუმცა შინაარსით სამართლიანობის იდეას ხელყოფენ, ვერ შეასრულებენ ხელისუფლების შეზღუდვის ფუნქციას. სახელმწიფო ხელისუფლება სამართლით შეიზღუდება, თუ სამართალი სამართლიანობის იდეის მატერიალური შინაარსის მატარებელია. ფორმალური გაგების შესაბამისად კი სახელმწიფო ხელისუფლება სამართლის ფორმით უნდა ხორციელდებოდეს, რაც გულისხმობს ხელისუფლების დანაწილებას და კანონის უზენაესობას.[10]

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მჭიდროდაა დაკავშირებული კანონის უზენაესობასთან. სახელმწიფო ხელისუფლება უნდა ეფუძნებოდეს და საკუთარ საქმიანობას ახორციელებდეს სათანადო წესით მიღებული კანონების საფუძველზე, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს კანონის მიღების გამჭირვალობა და ასევე მისი რაციონალურობა. შესაბამისად, კანონის უზენაესობის პრინციპის არსებობა უზრუნველყოფს კანონის მიღების პროცესის გამჭირვალეობასაც და ასევე მიღებული კანონების რაციონალიზაციას ქვეყნის კონსტიტუციასთან მიმართებაში.

სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი უპირატესობაა სამი ძირითადი ელემენტი, რომლებიც უზრუნველყოფენ პრინციპის გამართულ იმპლემენტაციას. ეს არის:

[10] თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია - ლევან იზორია; გვ 184

კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება და ადამიანის უფლებების დაცვა;[11]

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ინდივიდუალური თავისუფლების დაცვისა და ხელშეწყობის მატერიალურ პრინციპს წარმოადგენდა. თავდაპირველად სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს საფუძველი რობერტ ფონ მოლმა (1799-1875) ჩაუყარა და ეს უკანასკნელი დაუკავშირა იმანუელ კანტის (1724-1804) სახელმწიფო მოწყობის ფილოსოფიას.[12] დღევანდელობაში მოქმედი სამი ძირითადი ელემენტი, მართლაც ძალიან ჰგავს კანტისებურ ვერსიას, ვისი აზრითაც, სამოქალაქო მშვიდობის მისაღწევად აუცილებელი იყო სამი ელემენტის ოპტიმალური შესრულება, კერძოდ საზოგადოების წევრთა თავისუფლება, რომლებიც უნდა ემორჩილებოდნენ კანონს და თანასწორობა.

თავისუფლების დაცვის ფუნქციის ეფექტიანად შესრულებისათვის, საჭიროა სამართლის წარმოშობა ეფუძნებოდეს დემოკრატიულ პრინციპებს და ექვემდებარებოდეს კონსტიტუციონალურ კონტროლს. შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლება დემოკრატიულად მიღებული კანონების შესაბამისად მოქმედებასთან ერთად, აუცილებელია დემოკრატიული ლეგიტიმაციის მქონე პარლამენტის წინაშე იყოს ანგარიშვალდებული.[13] მთავრობა იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ზოგადად, საჯარო მმართველობის მიერ დაშვებულ შეცდომაზე ან დაუდევრობაზე, თუ

---

[11] მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა)

[12] საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო - შდრ. Immanuel Kant, Über den Gemeinspruch: Das mag in der Theorie richtig sein, taugt aber nicht für die Praxis, 1793, Theorie-Werkausgabe (რედ. W. Weischedel), ტომ. 11, გვ. 125, 154 და შემდ.; ders., Die Metaphysik der Sitten: პირველი ნაწილი: Metaphysische Anfangsgründe der Rechtslehre, Königsberg 1997, Theorie-Werkausgabe, ტომ. 8, გვ. 305, 337

[13] საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო - Karl-Peter Sommermann, Demokratiekonzepte im Vergleich, in: H. Bauer/P. M. Huber/K.-P. Sommermann (რედ.), Demokratie in Europa, Tübingen 2005, გვ. 191, 203 და შემდ.

აღმასრულებელი ხელისუფლება იერარქიულადაა სტრუქტურირებული, მაშასადამე, თუ, შესაბამისად, იერარქიულად მაღლა მდგომ ფენას აქვს მითითების მიცემის უფლება მასზე დაქვემდებარებულის მიმართ, ეს ეხება როგორც ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურას, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს შიგნით არსებულ საკადრო სტრუქტურას.

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა გამჭირვალობა. დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს მიმდინარე პროცესებისადმი საზოგადოების მაღალი ნდობის არსებობა, ასევე ინფორმირებული და კრიტიკული საზოგადოების არსებობა. თუმცა საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ პროცესში არ უნდა მოხდეს პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობის უგულვებელყოფა, განსაკუთრებით იმ პირების პერსონალური მონაცემებისა, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ შემდგომში საზოგადოებრივი ინტერესი სახელმწიფო უწყებებში.[14]

სამართლებრივ სახელმწიფოში მმართველობებს ენიჭებათ პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები. სოციალურ სამართრებლივ სახელმწიფოს გააჩნია დაცვისა და დახმარების ვალდებულება, რაც თავის თავში გულისხმობს იმასაც, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების განხორციელების გამარტივება და ასევე აღნიშნულში შეიძლება იგულისხმებოდეს მათი განხორციელების ვალდებულებაც.

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი სრულად ეთმობა ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. მიუხედავად იმისა არის თუ არა ეს უფლებები და თავისუფლებები ნორმატიულად განსაზღვრული თუ არა, ისინი არ გამომდინარეობს სახელმწიფოსგან, მათ ადამიანი დაბადებით იღებს და ეს უფლებები ხელშეუვალია. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები წარუვალი, უზენაესი ადამიანური ღირებულებებია, რასაც სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის ძალაც შესწევს ხელისუფლების განხორციელებისას. სახელმწიფოს გააჩნია კანონით გათვალისწინებული უფლებები, როცა ადამიანს აქვს ყველაფრის

[14] საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო - გვ. 20-27;

უფლება რასაც მას კანონი არ უკრძალავს.[15] ადამიანის უფლებები არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია მოხდეს მათი შეზღუდვაც სხვა ღირებულებების სანაცვლოდ, რაც დასაშვები ხდება კანონით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში. ეს შემთხვევებიც გათვალისწინებულია კონსტიტუციაში და განმარტებულია, რომელი უფლების და რა ხარისხით შეზღუდვა არის დასაშვები, ისევ საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად. ადამიანის უფლებები წარმოადგენს ადამიანის ღირსების ხელყოფის დაცვის გარანტს.

ადამიანის ძირითად უფლებათა განუხრელი დაცვა ძალზედ მნიშვნელოვანია, თუმცა ხშირია მათი შეზღუდვის არაკანონიერი შემთხვევები, ყოველივე დღესაც წარმოადგენს გამოწვევას, რადგან მიუხედავად რიგი ნორმებისა, რომლებიც შეიქმნა ძირითადი უფლებების დასაცავად, მაინც ხშირად ვაწყდებით გადაცდომებს.

ადამიანის ძირითად უფლებათა მნიშვნელოვანი ასპექტებია მათი პოზიტიური და ნეგატიური ფუნქციები. ნეგატიური, თავდაცვითი ფუნქცია გულისხმობს, რომ სახელმწიფოს მხიდან საკუთარი უფლებების შელახვის შემთხვევაში თითოეული ადამიანს აქვს თავდაცვის შესაძლებლობა, ამ შემთხვევში სახელმწიფოს თავშეკავება და უფლებების პატივიცემა ევალება. სახელმწიფოს მოქმედება კი გამომდინარეობს ძირითადი უფლებების პოზიტიური ფუნქციიდან, რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფოსგან მოითხოვება გარკვეული ქმედებების განხორციელება კონკრეტული უფლების რეალური დაცვისა და უზრუნველყოფისთვის. შეიძლება ითქვას, რომ პოზიტიური უფლების გათვალისწინებით ძირითადი უფლებები იძენენ სოციალურ მნიშვნელობასაც, თავისუფლების განხორციელებისთვის კი, სახელმწიფო ვალდებულია ყველასთვის შექმნას მინიმალური სოციალური პირობები.[16]

---

[15] ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები - ღირსება - ფრიდონ საყვარელიძე;

[16] თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია - ლევან იზორია; გვ 186-188

ძირითადი უფლებების საშუალებით, სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა ხდება ორი ძირითადი მიმართულებით. ერთი მხრივ, წესდება გარკვეული ფარგლები ხელისუფლების მოქმედებისა, როდესაც ხდება სახელმწიფოს მხრიდან ძირითადი უფლების შეზღუდვა; მეორე მხრივ, ძირითადი უფლებები სახელმწიფო ხელისუფლებას აკისრებს ვალდებულებას, რომ თითოეული უფლების განსახორციელებლად შეიქმნას შესაბამისი პირობები.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ზოგადი კონცეფცია ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა: ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა, ტოლერანტობა, დემოკრატია და სამართლიანობა.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა წარმოადგენს ადამიანის ღირსების დაცვის გარანტს, შესაბამისად პირველ რიგში ვიმსჯელებთ ადამიანის ღირსების დაცვის შესახებ. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას (თანასწორ და განუყოფელ უფლებათა კონცეფციასთან ერთად), რომელსაც ეყრდნობა ადამიანის უფლებათა დაცვა; თავისუფლების სამართლებრივ სტანდარტს ქმნის ადამიანის ღირსების დაცვა.[17]

ადამიანის ღირსება განსაზღვრავსს თითოეული ადამიანის იდენტურობას და ავტონომიურობას, იგი ყველა ადამიანს მოეპოვება და არავის აქვს მისი შელახვის უფლება.[18] ღირსების უფლება ადამიანს არ მიენიჭება სახელმწიფოსგან, არ არსებობს აუცილებლობა ამ უფლებაზე გათვალისწინებული იყოს კანონმდებლობაში, რადგან ღირსების უფლება ადამიანს ეკუთვნის ადამიანად ყოფნისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღირსება არ არის დაკავშირებული უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობასთან, შესაბამისად არ არსებობს

[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11;

[18] ადამიანის უფლებათა ლექსიკონი / [შეადგინა ფრიდონ საყვარელიძემ ; რედ.: ანა ჭაბაშვილი] - თბ. : დასი, 1999 - 128გვ

აუცილებლობა გქონდეს ღირსების ქონის შეგრძნების შესაძლებლობა, ღირსება გააჩნია დედის მუცლად მყოფ ჩანასახსაც[19], ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ნაკლით დაბადებულ ბავშვსაც. ადამიანის ღირსების უფლება ასევე ვრცელდება გვამზე და გარდაცვლილი ადამიანის ხსოვნაზეც.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულაში თანდაყოლილი ღირსება და თანასწორი და განუყოფელი უფლებები თავისუფლების, სამართლიანობის და საყოველთაო მშვიდობის საფუძვლადაა მიჩნეული.[20] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის საწყისი მუხლები სწორედ ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახავი ქმედებების აკრძალვას ეხება.[21] საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად ადამიანის ღირსება შეუვალია. აღნიშნული მუხლით სახელმწიფოს ეკისრება მრავალი პოზიტიური, თუ ნეგატიური ვალდებულება, ხოლო ამავე მუხლის მეორე პუნქტით ხდება ნეგატიური ვალდებულებებიდან ყველაზე მნიშვნელოვნის გამოყოფა.

ადამიანის პატივისა და ღირსების უფლების მთავარ ღირებულებას წარმოადგენს ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი. სახელმწიფო ვალდებულია ქვეყანაში შექმნას ამ უფლების დაცვის მინიმალური მატერიალური პირობები. ადამიანის ღირსების უფლება არის ის, რაც უპირობოდ ეკუთვნის თითოეულ ადამიანს და იგი გულისხმობს სოციალურ მოთხოვნას სახელმწიფოს მიმართ ადამიანის პატივისცემაზე. ადამიანის ღირსების პატივისცემა კი, გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია. სახელმწიფოსთვის ადამიანი არის დაცვის უმთავრესი მიზანი, მთავარი ფასეულობა და არა მიზნის მიღწევის ობიექტი. შესაბამისად არ შეიძლება სახელმწიფო ადამიანის თავისუფლებაში

[19] ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა - ირმა გელაშვილი; თბილისი 2012;

[20] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია LEXILOGOS

[21] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

ჩაერიოს ობიექტურზე მეტი დოზით, რადგან შედეგად, შესაძლებელია, მიზნად გადაიქცეს ადამიანის შეზღუდვა და არა მისი დაცვა.[22]

ღირსების ძირითადი უფლებით დაცული სფერო მოიცავს განურჩევლად ყველა ადამიანს, შესაბამისად ყველას უნდა გააჩნდეს სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობის, პიროვნების თავისუფლაი განვითარების და სხვა ძირითადი უფლებები, რომლებიც ადამიანს აქცევენ ადამიანად. ღირსების უფლების ამგვარი ფართო გაგება, ასევე გულისხმობს დისკრიმინაციის აკრძალვასაც.

ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით დაცული ყველა სიკეთით სარგებლობენ არასრულწლოვნებიც, თუმცა მათი ღირსების ხელყოფა ხშირად ვერ ხდება საზოგადოების აღშფოთების საგანი. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე ყურადღებას გავამახვილებთ ადამიანის (ამ შემთხვევაში არასრულწლოვანთა) ღირსების იმდაგვარ შელახვაზე, რომელიც ამავდროულად იწვევს სხვა ძირითადი უფლების შელახვას, კერძოდ კი პირადი და პერსონალური ინფორმაციის დაცვის, რაც წარმოადგენს პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დარღვევის ნაწილს;

პირადი ინფორმაციის დაცვა თანმდევი გამოწვევები

თანამედროვე საზოგადოებაში ციფრულ სამყაროზე დამოკიდებულება ყოველღიურად იზრდება, შესაბამისად უფრო და უფრო რთული ხდება პირადი ცხოვრებისა და პერსონალური ინფორმაციის ხელშეუხებლობის დაცვა. მონაცემთა ელექტრონული სისტემების შექმნამ, სოციალურმა ქსელებმა, ჭკვიანმა მოწყობილობებმა თუ სხვა ინტერნეტ საშუალებებმა, მართალია გააუმჯობესეს ცხოვრების ხარისხი და გაამარტივეს მოანაცემების დამუშავება, თუმცა ამავდროულად წარმოიშვა საფთხე, რაც გამოიხატება პირადი/პერსონალური

[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11;

მონაცემების უკანონო მოპოვებასა და დამუშავებაში. კიბერ სივრცეში მუდმივად მიმდინარეობს მონაცემთა გაცვლა, ეს შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ბევრ სახიფათო ფაქტორთან (რაც შეიძლება იყოს კიბერშეტევები, ან/და მონაცემთა დამუშავების სხვა არაკანონიერი გზები).

ევროკავშირი პერსონალური მონაცემების დაცვისთვის უკვე დიდი ხანია იბრძვის, რაზეც მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მონაცემთა დაცვა პირველად მონაცემთა დაცვის დირექტივით მოხდა 1995 წელს. მას შემდეგ ევროკავშირმა, მიიღო ახალი კანონმდებლობა ციფრულ ეპოქაში ადაპტირებისათვის, ხოლო 2018 წელს გაუქმდა დირექტივა და მის ნაცვლად ძალაში შევიდა მონაცემთა დაცვის რეგულაცია.

ევროკავშირი პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას განიხილავს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და პირადი მიმოწერის უფლების ნაწილად.[23]

პირადი ცხოვრების თავისუფლებას განსაკუთრებული და გამორჩეული როლი აქვს ადამიანის თავისუფალი განვითარების კუთხით. პერსონალური ინფორმაცია შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცერბულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.[24] ამასთან შეიძლება მოხდეს პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი იდენტიფიკაცია, რაც გულისხმობს პირის იდენტიფიცირებას ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან/და სოციალური ნიშნით.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფება, რომელსაც ფართო და მრავალმხრივი შინაარსი აქვს და შედგება მრავალი უფლებრივი კომპონენტისგან, რომლებიც სხვადასხვა ნორმებით რეგულირდება.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში დაცვას ექვემდებარება პირის ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა, სახელის, პირადი მონაცემების, საცხოვრებლის, ოჯახის და სქესობრივი ცხოვრების

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია - მუხლი 8;

[24] საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ; Convention for the Protection of Individuals with Regard to the Processing of Personal Data (N108); მუხ, 1;

საიდუმლოების, მიმოწერის და სატელეფონო საუბრის საიდუმლოების უფლება. თუმცა ფართო და მრავალმხრივი შინაარსის გათვალისწინებით, შეუძლებელია ამომწურავი განმარტების გაკეთება.[25]

მიუხედავად იმისა, რომ კავშირი ნამდვილად არსებობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებებს შორის, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა უფლებასთან. კერძოდ, თუ გადავხედავთ ისტორიულ რაკურსს, შევამჩნევთ, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება საერთაშორისო სამართალში წარმოიშვა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ (UDHR) ფარგლებში (1948 წ.). ეს უფლება მალევე აღიარა ევროპამაც, რომელიც გათვალისწინებულ იქნა „ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში“ (ECHR) და მისი დაცვა სავალდებულო იყო ხელმომწერი სახელმწიფოებისთვის (1950 წ.). პერსონალური მონაცემების აქტიური დაცვა ევროპაში 1970-იანი წლებიდან დაიწყო.[26]

პერსონალური მონაცემების დაცვის ფორმალური მექანიზმები მეოცე საუკუნეში პირველად შეერთებული შტატების კანონმდებლობაში გამოჩნდა, აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ აღნიშნულზე საუბარი ბევრად ადრე, ჯერ კიდევ ბერძნული და რომაული ფილოსოფიური საკითხების ერთ-ერთი ასპექტი გახლდათ. მეტიც, შეერთებული შტატების სამართლებრივ სისტემაში მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ხანებდამდე პირადი ცხოვრების დაცვის მექანიზმები თითქმის არ არსებობდა. პირველი სასამართლო გადაწყვეტილება 1881 წელს გამოჩნა, მიჩიგანის უზენაესმა სასამართლომ ზიანის ანაზღაურება დააკისრა პირს ქალის მიმართ, რომლის მშობიარობასაც მოპასუხე, ქალის თანხმობის გარეშე ესწრებოდა, მოსამართლე მარსტონის პოზიციის შესაბამისად, მოსარჩელეს ყველანაირი კანონიერი უფლება ჰქონდა ედავა მისი პირადი ცხოვრების

[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე _ ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.4;
[26] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო; 2018 წ;

ხელშეუხებლობისათვის და მესამე პირებისგან მოეთხოვა მისი დარღვევისგან თავის შეკავება.[27]

როგორც ვხედავთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვაზე ზრუნვა ციფრული სამყაროს გაჩენამდე ბევრად ადრე დაიწყო. თუმცა გლობალიზაციამ და სწრაფმა განვითარებამ ადაპტაციის საჭიროება გამოიწვია. პირადი ცხოვრების პატივისცემა და პერსონალური მონაცემების დაცვა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, რადგან ორივე მათგანი ისწრაფვის ადამიანის დამოუკიდებლობისა და ღისების დაცვისკენ. თუმცა განსხვავდება ფორმულირება და მოქმედების სფერო, რაც გულისხმობს, რომ პირადი ცხოვრების პატივიცემა ზოგადად კრძალავს ჩარევას, მაშინ როცა პერსონალურ მონაცემთა დაცვა თანაედროვე, აქტუალურ უფლებას წარმოადგენს.[28] იგი ახდენს კონტროლს და აბალანსებს სისტემას პიროვნების დასაცავად, პირადი ინფორმაციის დამუშავების პროცესში. ინფორმაციის დამუშავება უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს დამოუკიდებელი ზედამხედველობისა და მონაცემების სუბიექტის პატივისცემის შესახებ.[29]

შესაძლებელია ასევე ვიმსჯელოთ იმაზე, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება უფრო ფართოა ვიდრე პირადი ცხოვრების უფლება. ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-8 მუხლი განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ ღირებულებებს. ქარტიის მიხედვით, პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა იყოს სამართლიანი, ხორციელდებოდეს კონკრეტული მიზნებით, შესაბამისი პირის თანხმობის ან/და ლეგიტიმური საფუძვლებიდან გამომდინარე, რომელიც დადგენილი უნდა იყოს

[27] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა - De May v. Roberts, 9 N.W. 146 (MIch 1881)

[28] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო; 2018 წ; გენერალური ადვოკატი ელეანორ შარპსტონი ამ საქმეს ორ განსხვავებულ უფლებას უკავშირებდა - პირადი ცხოვრების დაცვის „კლასიკურ“ და მონაცემთა დაცვის „თანამედროვე“ უფლებებს. იხ. CJEU, გაერთიანებული საქმეები C-92/09 და C-93/02, Volker und Markus Schecke GbR v. Land Hessen, Opinion of Advocate General Sharpston, 17 ივნისი, 2010 წ., პუნქტი 71;

[29] "EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and the proposed General Data Protection Regulation" (europa.eu)

კანონით. პირი უფლებამოსილია ჰქონდეს წვდომა საკუთარ პერსონალურ ინფორმაციაზე და შეძლოს მათი გასწორება. ასეთ შემთხვევაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესაბამისობა უნდა კონტროლდებოდეს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ოპერაციები საჭიროა იყოს სათანადოდ დაცული, მიუხედავად იმისა, ამ კონკრეტულს აქვს თუ არა გავლენა პირად ცხოვრებაზე.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მეტად ეხება ისეთ სიტუაციებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანის პირად ინტერესს, იგი მოიცავს ინტიმურ, სენსიტიურ, კონფიდენციალურ ან ისეთ ინფორმაციას, რამაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს პიროვნების აღქმას საზოგადოების მხრიდან.[30]

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლის მიხედვით ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ან პირად მიმოწერაში უკანონოდ ჩარევისგან, ასევე მის ღირსებასა და რეპუტაციაზე უკანონო თავდასხმისგან.[31]

„ევროპის საბჭოს კონვენცია პირადი მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ინდივიდთა დაცვის შესახებ“[32] მიხედვით ავტომატური დამუშავების მონაცემი, უნდა იყოს მოპოვებული და დამუშავებული სამართლიანად და კანონიერად, ლეგიტიმური და კონკრეტული მიზნისთვის. ინფორმაცია არ უნდა იქნეს გამოყენებული მიზნებთან შეუსაბამოდ, არ უნდა აჭარბებდეს მიზანს რომლისთვისაც ინახება და უნდა ინახებოდეს მონაცემთა სუბიექტის

[30] CURIA - Documents (europa.eu)

[31] ბავშვის უფლებათა კონვენცია, მ. 16;

[32] ევროპის საბჭოს კონვენცია პერსონალური ინფორმაციის ავტომატური დამუშავების პროცესში ინდივიდთა დაცვის შესახებ, 1981/საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 14/12/2005 http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/108

იდენტიფიცირებადი ფორმით, იმ ვადით რა ვადაც დადგენილია ამ მონაცემის შესახვის მიზნით.[33]

კონვენციის შესაბამისად აკრძალულია იმ პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომლებიც ეხება პირის წარმოშობას, პოლიტიკურ მოსაზრებებსა და რელიგიურ ან სხვა რწმენას, ჯანმრთელობასა ან/და სექსუალურ ცხივრებას. ეს წესი ეხება ასევე ნასამართლეობას, თუ კანონი არ ადგენს დაცვის სათანადო გარანტიებს.[34]

ევროპის მინისტრთა კომიტეტის „სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე“[35] მიუთითებს, რომ სახელმწიფო კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს სასამართლო ან სხვა სახის პროცესში მონაწილე ბავშვთა პირადი ცხოვრების და პერსონალურ მონაცემთა დაცვა. კანონით უნდა დარეგულირდეს, რომ ბავშვთან დაკავშირებული პირადი ინფორმაცია და პერსონალიური მონაცემი არ გახდეს ხელმისაწვდომი და გამოქვეყნებული, განსაკუთრებით მედიის მიერ. აღნიშნული მოიაზრებს ისეთ მონაცემებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ამჟღავნებს ან უთითებს ბავშვის ვინაობაზე, ასეთი შეიძლება იყოს გამოსახულება, ბავშვის ან ოჯახის აღწერა, სახელები ან მისამართები, ვიდეო/აუდიო ჩანაწერები და ა.შ. აუცილებელია მედიის მიერ ბავშვთა საკითხის გაშუქება დარეგულირდეს კანონმდებლობით ან/და მედიის თვითრეგულაციის მექანიზმებით.[36]

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი წარმოადგენს პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის ძირითად სტანდარტს. აღნიშნული მუხლი იცავს ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიურ სფეროს. ადამიანის პირადი ავტონომიის პატივისცემასა და მასში სახელმწიფოსა თუ სხვა პირების ჩარევის

[33] ევროპის საბჭოს კონვენცია პერსონალური ინფორმაციის ავტომატური დამუშავების პროცესში ინდივიდთა დაცვის შესახებ, მ.5;

[34] ევროპის საბჭოს კონვენცია პერსონალური ინფორმაციის ავტომატური დამუშავების პროცესში ინდივიდთა დაცვის შესახებ, მ.6;

[35] ევროპის მინისტრთა კომიტეტის „სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე“, მითითებები 6-10 / განმარტებები, პარა: 57-62;

[36] ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, კანონმდებლობის კვლევა;

შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანას მოთხოვს დემოკრატიული საზოგადოება. ადამიანი არმოადგენს თავისუფალ, ღირსების მქონე არსებას, შესაბამისად მისი პირადი სივრცის პატივისცემა ბუნებრივი მოთხოვნილება, რომლის დაცვის მოლოდინი შესაძლებელია ყველას გააჩნდეს.[37]

ადამიანის პირადი და პესონალური ინფორმაციის სფეროს დაცვა ხდება კონსტიტუციის სხვა მუხლებისა და ქვეყანაში არსებული კანონების საფუძველზე. აღნიშნული უფლებების მრავალმხრივი ხასიათიდან გამომდინარე რთული იქნებოდა მხოლოდ ერთი ნორმის საფუძველზე მომხდარიყო დაცული სფეროს რეგულირების შემოფარგვლა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებაში მითითებულია, რომ პირად ცხოვრებას განკუთვნილი საკითხები ასევე გათვალისწინებულია კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებშიც[38].

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, ყველას აქვს უფლება გაეცნოს, ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.[39]

პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ერთ-ერთ საშუალებას საქართველოში წარმოადგენს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელიც 2011 წელის 28 დეკემბერს იქნა მიღებული. კანონის მიზანია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას.[40]

---

[37] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის N2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

[38] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/7/454 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.1

[39] მუხლი 11;

[40] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, მუხლი 1;

მიუხედავად რიგი ცვლილებებისა, კანონში მაინც ვხვდებით ღიად დარჩენილ საკითხებს, რომელთა ინტერპრეტაციის საშუალებით შესაძლებელია მოხდეს პირის პერსონალური ინფორმაციის (პირადი ცხოვრების უფლების) არაკანონიერი შელახვა. კანონი არ შეიცავს დებულებებს ბავშვთა პირადი მონაცემების დაცვის შესახებ, როდესაც აუცილებელია ამ კანონით და სხვა შესაბამისი ნორმებით მოხდეს ბავშვთა ისეთი პირადი ინფორმაციის უსაფთხოების უზრუნველყოფა, როგორიცაა ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავზება, ოჯახურ დავებს, თავშესაფრის მაძიებელ ბავშვებს, განათლებას, ჯანდაცვას, ადმინისტრაციულ საკითხებს და სისხლის სამართლის კანონმდებლობას.[41]

ადამიანის პირადი და პერსონალური ონფორმაციის დაცვა, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ერთ-ერთ გარანტს წარმოადგენს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ უმსჯელია აღნიშნულის თაობაზე. მაგალითად:

„ადამიანის პირადი ცხოვრების დაცულობას უზრუნველყოფს კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულებები: „ერთი მხრივ, არსებობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს პირადი ცხოვრების პატივისცემა და ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშემშლელი გარემოებების, შეზღუდვების უგულებელყოფას, აღკვეთას. მეორე მხრივ, სახელმწიფოს აქვს ნეგატიური ვალდებულება, არ ჩაერიოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში და, შესაბამისად, უზრუნველყოს პიროვნების დაცვა, მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან თანამდებობის პირების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან" (საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"). პირადი ცხოვრების ზემოაღნიშნული უფლებრივი კომპონენტის

[41] ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, კანონმდებლობის ანალიზი;

უზრუნველყოფის ფარგლებში სახელმწიფოს „ეკრძალება, გაეცნოს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით წარმოებული საუბრებისა და შეტყობინებების შინაარსს, აგრეთვე, დააწესოს კონტროლი, ვისთან და რა ინტენსივობით შედგა ასეთი ურთიერთობები" (საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ").

იმავდროულად, ეს უფლება არ არის აბსოლუტური. დემოკრატია ეყრდნობა რა კერძო და საჯარო ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის არსებობას, "უფლებათა უმრავლესობის შეზღუდვა აუცდენელია, რადგან მათი რეალიზაცია ხშირად წარმოშობს ღირებულებათა კონფლიქტს... მაშინ როდესაც ინტერესების დაპირისპირება აუცდენელია, წარმოიშობა მათი ჰარმონიზაციის, სამართლიანი დაბალანსების აუცილებლობა" (საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება NN1/1/477 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"). „თანამედროვე სახელმწიფოს სტაბილურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის პრიორიტეტების სწორად და სამართლიანად განსაზღვრა, ხელისუფლებისა და ადამიანის ურთიერთობის გონივრულად დაბალანსებული სისტემის შექმნა. ეს, პირველ რიგში, გამოხატულებას პოვებს ყოველი კონკრეტული უფლების შინაარსისა და ფარგლების ადეკვატურ საკანონმდებლო განსაზღვრაში" (2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ").

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაც შეიძლება შეიზღუდოს დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელი, კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, ამასთან იმ პირობის სავალდებულო დაცვით, რომ უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი და პროპოციული გზით მოხდება.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე „ეკატერინე ლომთათიძე და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით განაცხადა: „ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება ადამიანთა უფლებების ეფექტურ დაცვას, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულებაა. ზუსტად ამ საჯარო ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურება დასახელებული უფლების შეზღუდვა“.“[42]

შესაბამისად ვასკვნით, რომ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად საჭიროა გათვალისწინებული იყოს ყველა ადამიანის ინტერესი თანაბრად და თანასწორად, დისკრიმინაციის გარეშე. ეს ასევე გულისხმობს იმასაც, რომ შესაძლებელია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და საზოგადოებრივი სამართლიანობის ბალანსის დაცვისთვის მოხდეს რიგი უფლებების უპირატესი საზოგადოებრივი ინტერესის დასაცავად შეზღუდვა. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნორმები, საქართველოს კონსტიტუცია და კანონები მიუთითებენ პირადი და პერსონალური ინფორმაციის დაცვის თაობაზე, თუმცა ასევე განსაზღვრავენ, რომ ის არ არის აბსოლუტური უფლება და მისი ხელყოფა შესაძლებელია მოხდეს თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლში ჩამოთვლილ სიკეთეთა დაცვის ინტერესი და ამ სიკეთეთა დაცვა ხდება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, ჩარევის ფარგლები კი კონტროლდება სასამართლოს მხრიდან.[43]

---

[42] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 24/10/2012 №1/2/519,საქმის დასახელება: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

[43] საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, 2017.წ. გვ.156;

არასრულწლოვანთა პირადი ინფორმაციის დაცვის გარანტიები

ბავშვთა უფლებების დაცვა კრიტიკული და მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს კითხვის ნიშნები და არ არის ბავშვთა უფლებები აბსოლუტურად დაცული.

საქართველო წარმოადგენს გაეროსა და ევროპის საბჭოს თითქმის ყველა საერთაშორისო კონვენციისა და მათი დამატებითი ოქმების ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომლებიც შეეხება ბავშვთა უფლებების დაცვას. ესენია:

„ გაეროს ინსტრუმენტები:

▪ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989);[44]

▪ ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ (2000);[45]

▪ ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი შეტყობინების პროცედურების შესახებ (2014);[46]

▪ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენცია (2008);[47]

▪ გაეროს რეზოლუცია (2005) "სახელმძღვანელო მითითებები მართლმსაჯულების შესახებ მსხვერპლი და მოწმე ბავშვების მონაწილეობით" გაეროს კომიტეტების ზოგადი კომენტარები (სახელმძღვანელო განმარტებები):

▪ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N5 (2003) „ბავშვის უფლებათა

კონვენციის განხორციელების ზოგადი ღონისძიებები (მუხ. 4, 42 და 44 (6))"

▪ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N12 (2009) „ბავშვის უფლება მისი მოსაზრებების მოსმენაზე" ;

---

[44] საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1994 წელს;

[45] საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2005 წელს;

[46] საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2016 წელს;

[47] საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2013 წელს;

▪ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N14 (2013) „ბავშვის უფლება მისი საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების შესახებ“ ;

▪ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2005) „თანმხლების გარეშე მყოფი და ოჯახისგან განცალკევებული ბავშვების მიმართ მოპყრობა წარმოშობის ქვეყნის გარეთ“ ;

▪ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N8 (2006) „ბავშვის უფლება დაცული იყოს ფიზიკური დასჯისა და სხვა სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელებისგან“ ;

▪ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N9 (2006) „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა უფლებები“

▪ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #13 (2011) „ბავშვის უფლება ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის შესახებ“

▪ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N15 (2013) „ბავშვის უფლება ჯანდაცვის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის შესახებ“ ;

▪ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N1 (2001) „მუხ. 29 (1). განათლების მიზნები“;

▪ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N4 (2016) „მუხ. 24. უფლება ინკლუზიური განათლების შესახებ“

ევროპის საბჭოს ინსტრუმენტები:

▪ ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია; [48]

▪ ევროპის სოციალური ქარტია; [49]

[48] საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 20.05.1999;

[49] ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული), მიღებულია 1996წ. 3 მაისს. საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2005 წ. 1 ივლისს https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43174;

▪ ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ; [50]

▪ ევროპის კონვენციამ წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის შესახებ; [51]

▪ ევროპის საბჭოს კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ინდივიდთა დაცვის შესახებ; [52]

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები პოლიტიკისა და კანონმდებლობის შესახებ:

▪ ევროპის საბჭოს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები ძალადობისგან ბავშვთა დაცვის ინტეგრირებული ეროვნული სტრატეგიების შესახებ; [53]

▪ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ; [54]"[55]

ბავშვთა უფლებების დაცვისთვის ბრძოლაში, პირველ რიგში გვახსენდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN) ბავშვთა დაცვის ფონდი (UNICEF), რომელიც უკვე 190 ქვეყანაში იბრძვის ბავშვთა უფლებების განსამტკიცებლად.

ბავშვთა უფლებების დაცვის მთავარ მექანიზმს საერთაშორისო დონეზე წარმოადგენს გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია (CRC), რომელიც ვრცელდება 18 წლამდე ასაკის ნებისმიერ პირზე. ასევე ბავშვთა უფლებების სამართალზე მითითებისას საგულისხმოა ევროპის კავშირისა (EU) და ევროპის

---

[50] ე.წ. „ლანზაროტის კონვენცია" ძალაში შევიდა 01/07/2010; რატიფიცირებულია 23.09.2014

[51] მიღებულია 1987 წელს და რატიფიცირებულია საქართველოს მიერ 20.06.2000;

[52] ძალაში შევიდა 01.10.1985; საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 14.12.2005;

[53] სახელმძღვანელო პრინციპები შემუშავდა 2008-2009 წლებში https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168046d3a0;

[54] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო 2010 წლის 17 ნოემბერს;

[55] „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება:კანონმდებლობის კვლევა" 2017 წ.;

საბჭოს (CoE) დადგენილი სამართლის პირველადი წყაროები (ხელშეკრულებები, კონვენციები, მეორადი კანონმდებლობა და სასამართლო გადაწყვეტილებები). [56]

ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით მსჯელობისას, პირველ რიგში საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ბავშვთა უპირატესი ინტერესის დაცვის პრინციპზე, რომელიც გაეროს ბავშვთა კონვენციის მე-3 მუხლშია მოცემული.[57]

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი, ბავშვთა დაცვის ფუნდამენტია, რადგან იგი ეხება ბავშვის ცხოვრებისა და განვითარების ყველა ასპექტს, იგი ასევე წარმოადგენს სტანდარტს გადაწყვეტილების მისაღებად ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ დავებში.[58] ეს პრინციპი გულისხმობს, რომ გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს ბავშვის ცხოვრებაზე, უნდა შეფასდეს გულდასმით და მიღებულ იქნას იმგვარად, რომ არ მოხდეს სხვათა ინტერესების (იქნება ეს მშობელი, საზოგადოება, თუ სახელმწიფო) სასარგებლოდ ბავშვის ინტერესების შეზღუდვა.

ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების პრინციპმა და მისმა ინტეგრაციამ ადგილობრივ საკანონმდებლო სისტემებში დასაბამი დაუდო ოჯახსა თუ სახელმწიფოში ბავშვის ინტერესის გათვალისწინებით მოსაზრებების დანახვას.[59] ეს პრინციპი სათავეს იღებს ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან, როდესაც ინგლისური კანონმდებლობის მიხედვით მამებს მიეცათ საშუალება დაენიშნათ გადაწყვეტილების მიმღები წარმომადგენელი ბავშვებისთვის, ხოლო სასამართლოს მიეცა უფლება გადაეხედათ ამ გადაწყვეტილებისთვის

[56] Handbook on European law relating to the rights of the child, 2015 წ., გვ. 17;

[57] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

[58] Legal Applications of the "Best Interest of the Child" Standard: Judicial Rationalization or a Measure of Institutional Competence? 2014 წ.

[59] Children's Rights: Towards Social Justice, Anne B. Smith, 2016 წ. გვ. 10-26;

არასრულწლოვნის სასარგებლოდ და მოეთხოვათ მშობლისგან ბავშვის საუკეთესო ინტერესებისადმი სათანადო ყურადღების გამოეჩინა.[60]

საყოველტაო ყურადღება ბავშვთა უფლებების დაცვას 1924 წელს ჟენევის ბავშვთა უფლებების დაცვის დეკლარაციით მიექცა.[61] აღნიშნული გავრცელდა და კიდევ უფრო კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა 1959 წლის 20 ნოემბერს მიღებულ ბავშვთა უფლებათა დაცვის დეკლარაციაში, რომელიც 10 ძირითადი ცნებისგან შედგება და წარმოადგენს პირველ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც კონკრეტულად ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას ეხება.[62]

2013 წელს, გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტმა განმარტა „ბავშვის საუკეთესო ინტერესების" კონცეფცია და განმარტა, რომ იგი შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან, ესენია:

„(ა) არსებითი უფლება: ბავშვის უნდა ჰქონდეს უფლება თავისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და იყოს უპირატესად გათვალისწინებული, როდესაც სხვადასხვა ინტერესები განიხილება, რათა მივიღოთ გადაწყვეტილება მოცემულ საკითხზე და გარანტია იმისა, რომ ეს უფლება განხორციელდება მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება მიიღება ბავშვთან, იდენტიფიცირებული ჯგუფის ან უცნობი ბავშვებითან, ან საერთოდ ბავშვებთან დაკავშირებით. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ქმნის შინაგან ვალდებულებას სახელმწიფოებისათვის, უშუალოდ მოახდინოს ინტეგრირება (თვითდამკვიდრებული) და შეძლოს გამოყენება სასამართლოებში.

(ბ) ფუნდამენტური, განმარტებითი სამართლებრივი პრინციპი: თუ შესაძლებელია სამართლებრივი დებულების ინტერპრეტაცია, უნდა მოხდეს იმ კონცეფციის არჩევა, რომელიც ყველაზე ეფექტურად ემსახურება ბავშვს და ირჩევს მის

[60] Legal Applications of the "Best Interest of the Child" Standard: Judicial Rationalization or a Measure of Institutional Competence? 2014 წ. S113;

[61] Geneva Declaration of the Rights of the Child of 1924 - UN Documents: Gathering a body of global agreements (un-documents.net)

[62] UN Declaration on the Rights of the Child (1959) | CRIN

საუკეთესო ინტერესებს. კონვენცია და მის შესაბამისად გათვალისწინებული უფლებები, პროტოკოლები, ითვალისწინებენ ინტერპრეტაციის ჩარჩოს.

(გ) პროცედურის წესი: როდესაც უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას მოახდენს კონკრეტულ ბავშვზე, ბავშვების იდენტიფიცირებულ ჯგუფზე ან საერთოდ ბავშვებზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა შეიცავდეს მისი შესაძლო ზემოქმედების (პოზიტიური ან უარყოფითი) შეფასებას, გადაწყვეტილებას ბავშვის ან ბავშვების შესახებ. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს პროცედურულ გარანტიებს. უფრო მეტიც, გადაწყვეტილების დასაბუთება უნდა აჩვენებდეს, რომ უფლება აშკარად იქნა გათვალისწინებული. ამ მხრივ, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა ახსნან, თუ როგორ იქნა დაცული უფლება გადაწყვეტილებაში, ანუ რა იყო გათვალისწინებული იყოს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე; რა კრიტერიუმებზეა დაფუძნებული; და როგორ ბავშვის ინტერესები აწონილი იქნა სხვა მოსაზრებებთან შედარებით, იქნება ეს პოლიტიკის ფართო საკითხები თუ ინდივიდუალური შემთხვევები.“[63]

ბოლო წლების განმავლობაში პოზიტიური ცვლილებები შეიმჩნევა ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით ქართულ კანონმდებლობაშიც. კონვენციის იმპლემენტაციის მიზნით შეიქმნა ბავშთა უფლებების ერთიანი დოკუმენტის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“.[64] აღნიშნული არ აუქმებს ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით არსებულ საკანონმდებლო ნორმებს, არამედ ხელს უწყობს მათ შესაბამისობაში მოყვანას, საერთაშორისო სტანდარტებთან.[65] კოდექსის მე-5 მუხლი ითვალისწინებს ბავშვის უპირატესი ინტერესის გათვალისწინების პრინციპს, რომელმაც ასახვა ჰპოვა სხვა, რიგ საკანონმდებლო აქტებში.

---

[63] General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1), გვ 4;

[64] ბავშვის უფლებათა კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

[65] „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ (რეგისტრაციის № 07-3/282/9, ინიციირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)

ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპი აისახა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლში, რომლის შესაბამისად მშობლებს აქვთ უფლებამოსილება და ეკისრებათ ვალდებულება იზრუნონ საკუთარ შვილებზე, მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და საზოგადოებრივი განვითარებისას აღზარდონ ისინი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად მათი ინტერესების უპირატესად გათვალისწინებით.[66] უპირატესი ინტერესის დაცვის პრინციპი აისახა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი"[67]-ს მე-3 მუხლში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ბავშვთა ინტერესის უპირატესად გათვალისწინების პრინციპს აღნიშნავს მხოლოდ აღზრდასთან მიმართებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ მესამე პირებთან წარმომადგენლობისა და ქონების განკარგვის კუთხით არ გვაქვს მყარი გარანტიები, რომლის მიხედვითაც დაცული იქნება ბავშვის უფლებები. აღნიშნულზე შემდეგნაირ განმარტებას აკეთებს სასამართლო:

„ერთი შეხედვით, კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია მშობელსა და შვილს შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობებით, რაც მშობლის ბუნებითი ფუნქციიდან გამომდინარეობს და ნორმატიულად არის აღიარებული (სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამგვარი დამოკიდებულება ამკვიდრებს პრეზუმფციას, რომ მშობლები ყოველთვის მოქმედებენ მათი შვილების ინტერესების შესაბამისად, თუმცა სტატუსი - „მშობელი" არ ქმნის გარანტიას, რომ გარიგების დადება ყოველთვის ბავშვის ინტერესის შესაბამისი იქნება. მშობლის უფლება-მოვალეობების სისტემა ქონებრივი და არაქონებრივი შინაარსით განიხილება, თუმცა ორივე შემთხვევაში მათი რეალიზაცია უნდა ხორციელდებოდეს "the best interests of child" („ბავშვის საუკეთესო ინტერესი") პრინციპის განუხრელი დაცვით. აღნიშნული პრინციპი არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის. მიუხედავად ამისა, მშობლის მიერ

[66] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

[67] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციის ყველა ასპექტის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან თითოეულ ოჯახში არსებობს ბავშვის აღზრდის სხვადასხვა ტრადიციული შეხედულებები. საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება მშობლის წარმომადგენლობითი მოქმედება არასრულწლოვანის ინტერესებს, უნდა ფასდებოდეს ამ ურთიერთობის მიღმა, დამოუკიდებლად, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი სუბიექტივიზმი.

ფორმალური მიდგომა, რომ მშობელი ყოველთვის მოქმედებს ბავშვის ინტერესებში, საფრთხეს შეუქმნის ზემოთ დასახელებული პრინციპის რეალიზაციას და არასრულწლოვანის უფლებების სრულყოფილ დაცვას. თუკი სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ სამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებას, როგორიცაა მშობლის უფლების ჩამორთმევა (1206-ე მუხლი); მშობლის უფლების შეზღუდვა (1205-ე მუხლი), რასაც საფუძვლად უდევს მშობლების მხრიდან მათი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, ნათელია, რომ კანონმდებელი იმთავითვე დასაშვებად მიიჩნევს მშობლების მოქმედებას ბავშვის ინტერესების საზიანოდ. მაშინ, მშობლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება კანონიერი წარმომადგენლის ფუნქციებთან ასევე დასაშვებია კერძო-სამართლებრივ სივრცეშიც, სადაც საერთოდ არ არსებობს პირდაპირი შემზღუდავი მექანიზმები. არასრულწლოვნის (მცირეწლოვნის) ინტერესის განსაზღვრის დროს მშობლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რიგ შემთხვევებში, ერთპიროვნულია და მის სუბიექტურ დამოკიდებულებას უკავშირდება. მაგ. სამოქალაქო კოდექსი პირდაპირი მნიშვნელობით არ ზღუდავს კანონიერ წარმომადგენელს, გააჩუქოს ან სხვაგვარად განკარგოს, არასრულწლოვანი პირის ქონება.“[68]

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებაში მიუთითა: „...იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი

[68] თბილისის სააპელიაციო სასამართლოს განჩინება საქმე №2ბ/3275-15, 6 ოქტომბერი 2015 წელი;

სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შეძენის გზით ქონების დაგროვებას...“ (იხ.საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება №512 საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).“[69]

შესაბამისად ბავშვთა ინტერესების უპირატესად გასათვალისწინებლად საჭიროებას წარმოადგენს კანონმდებლობაში მოხდეს რიგი ცვლილებებისა, რომლებიც მოახდენენ არსებული ნორმების კონკრეტიზაციას, რაც თავისთავად გააუმჯობესებს ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით არსებულ სიტუაციას და გახდება გარანტი უფლებების განუხრელად დაცვისა.

რა გავლენას ახდენს მედია და სოციალური მედია არასრულწლოვანი პირის პირადი ინფორმაციის გავრცელებასა და დამუშავებაზე

თანამედროვე სამყაროში ყოველდღიურობის განუყოფელ ატრიბუტად იქცა მედია და სოციალური მედია. თავად მედიის არსიც შეიცვალა და დღეს-დღეისობით სოციალური მედია იქცა სიახლეებისა თუ ამბების მოპოვების მთავარ წყაროდ. აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე გადავწყვიტე გამემახვილებინა ყურადღება მედიასა და სოციალურ მედიაში პირადი ინფორმაციის გავრცელების კუთხით.

CRRC-ს (2013)[70] მონაცემებით, ინტერნეტის მომხმარებლების 72 პროცენტი ყველაზე ხშირად სოციალური ქსელებისთვის იყენებს, მოსახლეობის 55 პროცენტი

[69] იქვე გვ.8;

[70] CRRC_MM_Report_16_June-16_July_2013_FINAL.pdf

კვირაში ერთხელ მაინც შედის Facebook-ზე. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) კვლევიდან კი ჩანს, რომ მოსახელობის 19 პროცენტი, ინტერნეტს ახალი ამბებისა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის გაგების მთავარ წყაროდ აღიქვამენ. საქართველოს მოსახლეობის ეს სეგმენტი პოლიტიკური ამბების შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელ Facebook-დან უფრო მეტად (74%) იღებენ, ვიდრე ახალი ამბების სააგენტოებიდან (42%).[71]

მსოფლიო მოსახლეობის 50 პროცენტი, დაახლოებით 3.80 მილიარდი სოციალური მედიის მომხმარებელია. ამავდროულად, 5.19 მილიარდ მოსახლეზე მეტი რეგულარულად გამოიყენებს მობილურ ტელეფონებს, რაც 124 მილიონი ადამიანით მეტია ვიდრე გასულ წელს.[72] ყოველივე ეს წარმოადგენს კომუნიკაციის სწრაფ საშუალებას, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის კიდევ უფრო სწრაფ დამუშავებას.

ინფორმაციული სამყაროს განვითარებამ, კერძოდ სოციალურმა ქსელებმა უამრავ ინფორმაციასთან გააადვილა წვდომა. რათქმაუნდა ბევრი დადებითი მხარე აქვს თუნდაც იმ ფაქტს, რომ ფეისბუქის საშუალებით შესაძლებელია ერთმანეთთან კომუნიკაცია, თუმცა აღნიშნულთან ერთად ხდება პირადი ინფორმაციის გასაჯაროებაც, ხშირად გაუცნობიერებლადაც. პანდემიით გამოწვეულ ცვლილებებთან ერთად, ინტერნეტ სოციალური სივრცის გამოყენება კიდევ უფრო აქტუალურად დება, თუმცა სრულად გათვითცნობიერება იმ საფრთხეებისა, რაც ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის გასაჯაროებას შესაძლოა მოყვეს, ჯერ კიდევ არ გვაქვს სრულად გათვითცნობიერებული.

[71] ეთიკური პრობლემები ქართულ ონლაინ მედიაში სოციალური ქსელების გამოყენებისას, ნატა ძველიშვილი, 2015 წელი;

[72] Digital Identity Management on Social Media: Exploring the Factors That Influence PersonalInformation Disclosure on Social Media, Joseph Kwame Adjei, Samuel Adams, Isaac Kofi Mensah, Peter Ebo Tobbin and Solomon Odei-Appiah, 2020 წ;

სამწუხარო რეალობაა ისიც, რომ ჟურნალისტთათვის სოციალური მედია გახდა სიახლეების წყარო, შესაბამისად შესაძლებელია პიროვნებამ გამოაქვეყნოს პოსტი, ან თუნდაც გააკეთოს კომენტარი, ეს კი შემდგომში იქცეს ონლაინ გამოცემების ერთ-ერთ სიახლედ.[73]

საერთაშორისო დონეზე მედიის და ჟურნალისტთა ეთიკის საკითხების განხილვა სოციალური მედიის ზრდასთან ერთად უფრო აქტუალური გახდა. ჟურნალისტთა აქტივობაზე საუბრობს გერმანიის პრესის საბჭო, რომელიც გერმანიის პრესის კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად ჟურნალისტმა ან/და გამომცემლობამ არ უნდა განახორციელოს ისეთი მოქმედება, რაც ჩრდილს მიაყენებს პრესის სანდოობას.[74]

იმავეს იზიარებს ხორვატიის ჟურნალისტთა ასოციაცია და ეთიკის კოდექსში მიუთითებს, რომ ჟურნალისტი სამუშაოს შესრულების დროს უნდა იყოს მიუკერძოებელი.[75]

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია კი საერთაშორისო ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლში მიუთითებს, რომ ჟურნალისტმა უნდა დაიცვას კონფიდენციალურობა, კერძოდ:

„ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს კონფიდენციალურობას. მან პატივი უნდა სცეს დასახელებული ან/და წარმოდგენილი და ინფორმირებული პირების ღირსებას, ინტერვიუერი გააფრთხილოს, არის თუ არა საუბრისას და სხვა დროს შეგროვებული მასალა განკუთვნილი გამოქვეყნებისთვის. მან უნდა გამოავლინოს განსაკუთრებული დამოკიდებულება გამოუცდელ და დაუცველ ინტერვიუერთან.“[76]

საქართველოში მედიის თვითრეგულირების ორი მექანიზმი არსებობს, ესენია:

---

[73] "ვითომ ვინმე უშლის შვილზე ზრუნვას... 237 ლარი დახარჯე და ერთი ამბავი ატეხე" - ნეკა დოროყაშვილი ნიკოლოზ ბასილაშვილს პასუხობს | Ambebi.GE

[74] Press Code.pdf

[75] Accountable Journalism

[76] Global_Charter_of_Ethics_EN (1).pdf

1. „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“[77], რომელიც 2009 წელს შეიქმნა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მისი შესრულება ყველა მაუწყებლისთვის სავალდებულოა, იქნება ეს ტელე, თუ რადიო მაუწყებლობა.

   კოდექსის მოქმედება ვრცელდება უშუალოდ მაუწყებლობაზე, რაც გულისხმობს, რომ, თუ მოხდა დარღვევა პიროვნების უფლებების დარღვევა, მას შეუძლია მიმართოს მაუწყებელში შექმნილ თვითრეგულირების საბჭოს, თუმცა განცხადების განხილვისათვის აუცილებლობას წარმოადგენს ეს პიროვნება იყოს დარღვეული უფლების მფლობელი სუბიექტი, რაც იმას ნიშნავ, რომ ეთერში გასული მასალა უშუალოდ მას უნდა ეხებოდეს.[78]

2. „ჟურნალისტთა ეთიკის ქარტია“[79], ეს არის ჟურნალისტთა დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც შეიქმნა 2009 წლის 4 დეკემბერს. სხვდასხვა მედიასაშუალების 137-მა ჟურნალისტმა, როგორც რეგიონიდან ისე დედაქალაქიდან ხელი მოაწერა 11 პრინციპს და მისი დაცვის ვალდებულება აიღო. მოქალაქეებს კი მიეცათ საშუალება, ჟურნალისტურ მასალაში ეთიკური დარღვევის შემთხვევაში განცხადებით მიემართა ქარტიისთვის. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია საკუთარი მისიის ფარგლებში იღებს, იხილავს ჟურნალისტების მხრიდან პროფესიული სტანდარტების დარღვევის ფაქტებს ქარტიაში შესული განცხადებების საფუძველზე; ეწევა საგანმანათლებლო-შემეცნებით საქმიანობას ჟურნალისტთა პროფესიონალიზმის ასამაღლებლად; თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, პროფესიულ გაერთიანებებთან; ხელს უწყობს ჟურნალისტური ეთიკის ნორმების პოპულარიზაციას და მათ მიმართ პატივისცემის დამკვიდრებას; ატარებს

[77] „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე“ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

[78] ეთიკური პრობლემები ქართულ ონლაინ მედიაში სოციალური ქსელების გამოყენებისას, ნატა ძველიშვილი, 2015 წელი;

[79] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია | CSO.GE

> მედიის მონიტორინგს, კვლევებს და გამოსცემს პროფესიულ პუბლიკაციებს; ლობირებს ჟურნალისტთა უფლებების დაცვას და ჯანსაღი და თავისუფალი მედიაგარემოს შექმნას.
>
> ქარტიას მართავს 9 წევრისგან შემდგარი საბჭო, რომელიც ნიშნავს აღმასრულებელ დირექტორს. ჟურნალისტების წინააღმდეგ შესულ განცხადებებს საბჭო განიხილავს. საბჭოს წევრი ირჩევა 3 წლის ვადით საერთო კრებაზე ქარტიის ხელმომწერი ჟურნალისტების მიერ. ქარტიის ხელმომწერი ამ დროისთვის 360 ჟურნალისტია.
>
> თავდაპირველად ქარტია განიხილავდა მხოლოდ ხელმომწერი/წევრი ჟურნალისტების წინააღმდეგ შესულ საჩივრებს, ახალი რეგულაციის თანახმად დღეისათვის ქარტია განიხილავს ნებისმიერი ჟურნალისტის წინააღმდეგ არსებულ საჩივრებს.
>
> ქარტიის მე-8 მუხლი მიუთითებს, რომ „ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.“[80]

მაუწყებელთა ქცევის კოდექსიც და ეთიკის ქარტიაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საქმიანობისას ჟურნალისტის მიერ ინფორმაციის გავრცელებისას სიზუსტის დაცვას. სამწუხაროდ, საქართველოში თვითრეგულირების არცერთი მექანიზმი, არც კოდექსი და არც ქარტია არ აკეთებს სპეციალურ განმარტებებს ონლაინ მედიის დამახასიათებელი სპეციფიკით ინფორმაციის გავრცელებაზე.

არ არსებობს ცალსახა რეგულაცია, რომლის მიხედვითაც გაკონტროლდება წარმოადგენს თუ არა ეთიკის დარღვევას, როდესაც ჟურნალისტი, კონკრეტული

[80] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია | CSO.GE

პირის ნებართვის გარეშე იყენებს ამ პიროვნების მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ სტატუსს, ჟურნალისტურ მასალაში.

ამ მიმართულებით არსებული პრობლემებით საზოგადოება უფრო და უფრო ხშირად ინტერესდება, რაზეც მოწმობს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში, ჟურნალისტების წინააღმდეგ შესული საჩივრების მზარდი ოდენობა. აღსანიშნავია, რომ ყურადღება მახვილდება ონლაინ მედიაში არსებულ დარღვევებზე, რაზეც მიუთითებს 2013 წლის სტატისტიკა, ქარტიაში შესული 5 საჩივრიდან ხუთივე ონლაინ მედიაში გავრცელებულ მასალას ეხებოდა, ასევე 2014 წელს შესული 24 საჩივრიდან 7 ისევ ონალინ მედიასაშუალებების მიერ განხორციელებულ დარღვევებს ეხება.[81] განსახილვევი და განხილული საქმეების რაოდენობა კი ყოველწლიურად იზრდება.[82]

არასრულწლოვანთა დაცვა სოციალურ სივრცეში კი კიდევ უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს, რადგან არ არსებობს გარანტია, რომ მომხმარებლის მონაცემები იქნება სწორი, რადგან სოციალურ მედიას არ გააჩნია ბერკეტები იდენტურობის დასადასტურებლად. ა.შ.შ-ში და დიდ ბრიტანეთში მთავრობები ცდილობენ კანონიერი გზებით შებოჭონ არასრულწლოვანთა მიერ ინტერნეტ სივრცის გამოყენება და მასთან დაკავშირებული საფრთხეები.

დიდ ბრიტანეთის მთავრობამ მონაცემების დაცვის აქტში (Data Protection Act 2018) მიზანმიმართულად გაითვალისწინა მუხლები, რომლებიც დაადგენენ სტანდარტს არასრულწლოვანთა უსაფრთხოებისთვის, როდესაც ისინი ონლიან სივრცეში არიან.[83]

ამერიკის შეერთებულ შტატებში ონლაინ სივრცეშ არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით ძირითად დოკუმენტად იყენებენ ბავშვთა ონლაინ

[81] ეთიკური პრობლემები ქართულ ონლაინ მედიაში სოციალური ქსელების გამოყენებისას, ნატა ძველიშვილი, 2015 წელი;

[82] საქმეების სრული სია (qartia.ge)

[83] Data Protection Act 2018 (legislation.gov.uk)

კონფიდენციალურობის დაცვის აქტს (COPPA)[84] რომლის მიხედვითაც, სოციალურ ქსელში 13 წლამდე არასრულწლოვნის ჩართვა იზღუდება. ასევე 2013 წელს შეიზღუდა არასრულწლოვანთა მიერ სოციალურ მედიაში ატვირთული ფოტოსურათების გამოყენება სარეკლამო მიზნებისთვის.[85]

მედია და სოციალური მედია, ორივე, ერთად და ცალ-ცალკე, ემსახურებიან ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას. რათქმაუნდა აღნიშნული წარმოადგენს დადებით მხარეს, თუმცა მასიურად სოციალური სივრცის გამოყენებამ, დაგვაყენა პრობლემის წინაშე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება შეიძლება არ იყოს ავთენტური. არსებობს ბევრი ცრუ ინფორმაციის გამავრცელებელი გვერდები, ყალბი პროფილები, რომლებიც სხვა პიროვნებების ფოტოებს იყენებენ. მსგავს სიტუაციაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა პირადი ინფორმაციის დაცვა, რადგან შესაძლებელია მოხდეს მათი ფოტოების ან პირადი მიმოწერის არაკეთილსინდისიერად გამოყენება, აღნიშნული შემთხვევების მაგალითები არსებობს და სავალალო შედეგითაც დასრულებულა.[86]

არასრულწლოვნის პირადი ინფორმაციის გავრცელებით მიყენებული ზიანი

ყველა საზოგადოებას აქვს თავისი წესები, ტრადიციები თუ მორალური ღირებულებები, რასთანაც შესაბამისობაში შეიძლება ვერ მოვიდეს პიროვნების პირადი ცხოვრება. საკუთარი რეპუტაციის გადასარჩენად, ან სირცხვილისა და უხეში დამოკიდებულებისგან თავდასაცავად ადამიანები თავად ირჩევენ საკუთარი პირადი ცხოვრების რა ნაწილის გაზიარება სურთ საზოგადოებისთვის. შესაბამისად მნიშვნელოვანია არ მოხდეს პირადი ცხოვრების დეტალების

[84] COPPA http://www.ftc.gov/ogc/coppa1.htm (cmu.edu)

[85] "Forbidding Advertisement Through Child Exploitation Act of 2013." OpenCongress - Track bills, votes, senators, and representatives in the U.S. Congress (formspal.com)

[86] "ბავშვი იყო გამოუცდელი და კაციჭამია, სისხლისმსმელმა ვამპირმა შეაშინა" - 16 წლის გოგოს დედა "ფეისბუქზე" შვილის შესახებ წერს | Ambebi.GE ბოლოს ნანახია 2021/08

საზოგადოდ გავრცელება პიროვნების თანხმობის გარეშე. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა გარანტირებულია ყველასთვის.

ფიზიკური ზიანი, რომელიც ადამიანს ადგება თვალისთვის მარტივი შესამჩნევია, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით მორალურ და ემოციურ ზიანზე, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს პირადი ინფორმაციის გავრცელებამ და, რომელმაც შესაძლებელია ძალიან დიდი კვალი დაატყოს ადამიანის ფსიქიკას. პირადი ინფორმაციის გავრცელებით მიყენებული ზიანი რეალურია, მართალია კომპენსაცია ვერც დაკარგულ დროს დააბრუნებს და ვერც რესტიტუცია მოხერხდება, თუმცა ზიანის ანაზღაურება ნებისმიერი დაზარალებული ადამიანის სამართლიანი მოთხოვნაა.

ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის პირადი სივრცის დაცულობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ამ ასაკში ადამიანის ფსიქიკა ფაქიზია და ადვილია მისით მანიპულირება. მაგალითად, ინტერნეტ თმაში „ლურჯი ვეშაპი“, რომელსაც სასიკვდილო თამაშად მოიხსენიებენ და, რომელმაც 130-ზე მეტი არასრულწლოვნის სუიციდი გამოიწვია, ვრცელდებოდა რა სოციალური მედიის საშუალებით, ორიენტირებული იყო არასრულწლოვანთა ფსიქიკაზე ზემოქმედებით თვითმკვლელობამდე მიყვანაზე, ხოლო მოთამაშეთა ასაკი სწორედ მარტივად მანიპულირებისთვის შერჩეული.[87]

შესაბამისად სხვადასხვა საფრთხეს შეიცავს არასრულწლოვანი პიროვნების პირადი ინფორმაციის გავრცელება, რადგან ხშირია ფატალური შედეგები.[88] არასრულწლოვნის პირადი ინფორმაციის გავრცელება შეიძლება მოხდეს რამდენიმე საშუალებით და სხვადასხვა პირების მიერ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბავშვები ისევე, როგორც სრულწლოვანი ადამიანები წარმოადგენენ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებს, შესაბამისად ყველა დათქმა, რომელიც ვრცელდება სრულწლოვანთა პირადი ინფორმაციის

[87] Blue Whale game is a suicide challenge for teenagers (underspy.com); Blue Whale Game:Dangerous for Kids And Youth - Notes Read;

[88] "ბავშვი იყო გამოუცდელი და კაციჭამია, სისხლისმსმელმა ვამპირმა შეაშინა" - 16 წლის გოგოს დედა "ფეისბუქზე" შვილის შესახებ წერს | Ambebi.GE

დაცვაზე, ასევე ვრცელდება ბავშვებზე. თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ ბავშვები თავისი ასაკის გამო ვერ აანალიზებენ და ვერ უწევენ კონტროლს მათი პირადი ინფორმაციის უფროსების მხრიდან გავრცელებას, შესაბამისად საჭიროა მეტი ყურადღების გამოჩენა არასრულწლოვანის მონაცემებთან ურთიერთობისას.

არასრულწლოვნის პერსონალური ინფორმაცია შეიძლება არაკანონიერად დამუშავდეს და გავრცელდეს საჯარო დაწესებულების, კერძო დაწესებულების, საგამოძიებო ორგანოების მიერ[89], ასევე მშობლების ან/და სხვა ფიზიკური პირების მხრიდან.[90] ყველა აღნიშნულ შემთხვევაში კი უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რადგან საჭიროა მოხდეს არასრულწლოვანთა პირადი სივრცის სათანადო სერიოზულობით აღქმა.

მედია საშუალებებით პირადი ინფორმაციის გავრცელებისას, უდიდესი მნიშველობა ენიჭება თანხმობას. მართალია, შესაძლებელია საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მოხდეს თანხმობის კომპონენტისთვის გვერდის ავლა, თუმცა როდესაც არასრულწლოვან პირზე მზადდება სიუჟეტი საჭიროა მოხდეს ბავშის უპირატესი ინტერესების დაცვას.[91] ასევე სენსიტიური ინფორმაციის გადმოცემა უნდა მოხდეს ისეთი სახით, რომ აღნიშნულმა არ მოახდინოს არასრულწლოვნის წაქეზება ან დაინტერესება იმავე ქმედების გასამეორებლად.[92] ბავშვის პირადი ინფორმაციის საშუალებით სიუჟეტის მომზადებისას საჭიროა არ მოხდეს მისი პირდაპირი ან არაპირდაპირი იდენტიფიცირება.[93]

---

[89] 2021-სტატისტიკა-6-თვე-პერსონალურები.pdf (personaldata.ge)

[90] სკანდალური გადაცემა "ბავშვთა ონანიზმზე" და აღშფოთებული საზოგადოება - mshoblebi; ნეტგაზეთი | გადაცემაში ბავშვის "მასტურბაციის" კადრების გასაჯაროების გამო პროკურატურას მიმართეს (netgazeti.ge)

[91] ჟურნალისტთა ეთიკის ქარტია, მ.8;

[92] არასრულწლოვნები, სუიციდი და „ლურჯი ვეშაპი" (radiotavisupleba.ge)

[93] სექსუალური ძალადობა 14 წლის შვილზე - ბავშვის დედა ოჯახის ტრაგედიაზე პირველად "კურიერთან" ალაპარაკდა | Rustavi2

გასათვალისწინებელია ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-4 მუხლი[94], რომლის მიხედვითაც ბავშვის ღირსება ხელშეუვალია. როგორც უკვე აღინიშნა ნაშრომში, ღირსების შეგრძნება კავშირშია ყველა სხვა ძირითად უფლებასთან. შესაბამისად პირადი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც არ სურდა კონკრეტულ პიროვნებას, შესაძლებელია იყოს მისთვის ღირსების შემლახველი. შესაბამისად წარმოადგენს აუცილებლობას, საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევაშიც კი, პირველ რიგში მოხდეს ბავშის ინტერესების გათვალისწინება, რადგან შესაძლებელია მისი პირადი ინფორმაციის გავრცელებით, ის გახდეს საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის ობიექტი, რაც მისი ღირსების შელახვას გამოიწვევს და შემდეგ ძნელია გავაანალიზოთ, როგორ უპასუხებს მსგავს დამოკიდებულებას გარშემომყოფებისგან არასრულწლოვანი, რომელიც აღნიშნულის გარდა ისედაც წარმოადგენს მსხვერპლს და, რომელსაც შესაძლოა მიადგა მორალური თუ ფიზიკური ზიანი, რაც იწვევს მის ფსიქოლოგიურ სტრესს და სავარაუდოდ ტანჯვასაც. ასეთ შემთხვევებში დიდია საფრთხე დადგეს ფატალური შედეგი.[95]

მედიისთვის და ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის წყაროს არასრულწლოვანთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შესახებ ძირითად შემთხვევაში წარმოადგენს საგამოძიებო ორგანო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ინფორმირებისთვის ინფორმაციის გაცემისას, საჯარო დაწესებულებამ საჯარო ინფორმაცია უნდა გასცეს ისე, რომ არ მოხდეს პერსონალური მონაცემების გმჟღავნება.

თანამედროვე ინტერნეტ სივრცე დიდ როლს ასრულებს პირადი ინფორმაციის გავრცელებაში, რაც როგორც უკვე აღინიშნა გამოიწვია ინტერნეტმა, რომლის მოხმარებაც საგრძნობლად გაიზარდა ბოლო წლის განმავლობაში (პანდემიური

---

[94] ბავშვის უფლებათა კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

[95] ქობულეთში გარდაცვლილი 14 წლის მოზარდის ბაბუამ შვილიშვილზე ძალადობა აღიარა – პროკურატურა | (xnews.ge); ქობულეთში გარდაცვლილი 14 წლის გოგონას ბაბუას ბრალი წარედგინა - სასამართლო პროცესი 17 თებერვალს გაიმართება | Ambebi.GE; "უმოწყალოდ სცემეს ბიძებმა, წიხლქვეშ აგორეს, რატომ გააკეთე ასეთი რამე, გაგვაპაზორეო" - რას ჰყვება ქობულეთში გარდაცვლილი 14 წლის გოგონას დედა? - Palitra TV-Radio (palitravideo.ge)

მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვეულებრივ მოხმარებას დაემატა ისეთი აქტივობების „ონლაინ“ ადაპტირებაც, რაც მანამდე აღნიშნული კუთხით ფართოდ არ გამოიყენებოდა). სოციალური ქსელები ადამიანის ცხოვრების დიდ ნაწილს იკავებს, ქსელში ხდება ყველა სახის ინფორმაციის გავრცელებაც. ადამიანები დღის განმავლობაში სხვადასხვა რაოდენობის ინფორმაციას ავრცელებენ, რაც შეიძლება შეეხებოდეს მათ პირად ცხოვრებასაც.

არსებობს მოსაზრება, რომ ბავშვებისთვის პირადი ინფორმაციის დაცვა არც თუ ისე მნიშვნელოვანია, თუმცა ეს მოსაზრება ვერ დასტურდება კვლევებით. სწორი იქნება თუ ვიმსჯელებთ, რომ არასრულწლოვნები მეტად განიცდიან მათი პირადი სივრცის დარღვევას მშობლების მხრიდან, რომლებიც აღნიშნულს იმავე მნიშვნელობას არ ანიჭებენ.[96] მშობლებსა და შვილებს შორის არსებული ბუნებრივი კავშირიდან გამომდინარე, ითვლება, რომ ისინი იმოქმედებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. საზოგადოება სწორედ მათ აძლევს უფლებამოსილებას და ვალდებულებას, რომ იყვნენ ბავშვების დამცველები და კანონიერი წარმომადგენლები.

მშობლები ხშირად სოციალური ქსელების საშუალებით, შესაძლოა გაუთვითცნობიერებლადაც ახდენენ საკუთარი არასრულწლოვანი შვილების პირადი ინფორმაციის გასაჯაროებას. ისეთი პლათფორმები, როგორიცაა Facebook, Twitter, Instagram, YouTube და TikTok ძირითადად ორიენტირებული არიან ვიზუალური მასალის გავრცელებაზე. ამ პლატფორმების საშუალებით მშობლებს მარტივად შეუძლიათ გააზიარონ მათი არასრულწლოვანი შვილების ფოტო და ვიდეო მასალები ოჯახის წევრებთან, საკუთარ მეგობრებთან და საერთოდ სამყაროსთან. ამ ყველაფერმა უკვე ისეთი სახე მიიღო, რომ გაჩნდა ტერმინი Sharenting, რომელიც არის შედგენილი ორი ინგლისური იტყვისგან Share და Parenting, იგი განისაზღვრება, როგორც მშობლების მიერ სოციალური მედიის გამოყენება მათი შვილების განსახილველად ტექსტური შეტყობინებების,

[96] PRIVACY FOR CHILDREN, Benjamin Shmueli and Ayelet Blecher-Prigat, pg.3, 2011 year;

ფოტოსურათებისა და ვიდეოების გაზიარებით, რომლებიც პირად ინფორმაციას ავრცელებს მათი შვილების ცხოვრების შესახებ.[97]

ინფორმაცია, რომლებსაც მშობლები ასაჯაროებენ შესაძლებელია მომავალში არ იყოს მისაღები მათი შვილებისთვის. საქართველოს გარეთ უკვე არსებობს საქმეები, რომლებშიც სრულწლოვან ასაკს მიღწეული ან/და არასრულწლოვანი შვილები უჩივიან მშობლებს მათი პირადი ინფორმაციის სოციალური ქსელით გასაჯაროებისთვის.[98]

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ შემთხვევაშიც ვერ ვიმსჯელებთ ცალსახად. საჭიროა საკანონმდებლო დონეზე დარეგულირება ხანდაზმულობის ვადის და ასევე პირობების, რომელთა ზემოქმედებითაც ხდება არასრულწლოვნების დროს გავრცელებული პირადი ინფორმაციის გამო, მოგვიანებით დავის დაწყება. მაგალითად ცნობილ როკ ჯგუფ „ნირვანა“-ს უჩივის ალბომ “Nevermind”-ის ყდაზე გამოსახული ბავშვი სპენსერ ელდენი, რომელიც უკვე აღარ არის ბავშვი, იგი 30 წლისაა. ცნობილ ბენდს ის საბავშვო პორნოგრაფიის გავრცელებას ედავება და მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ფოტოზე ჩანს ბავშვის გენიტალიები და დოლარის კუპიურა, რაც მის ასოცირებას იწვევს სექს მუშაკთან. ის აპელირებს, რომ მშობლებს მისი ფოტოს გამოყენების ნებართვა არ მიუციათ, ხოლო ალბომი 30 მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა, რისთვისაც ანაზღაურება არ მიუღიათ. იგი ბენდის თითოეული ცოცხალი წევრისგან ითხოვს კომპენსაციას 150 000 დოლარის ოდენობით და ასევე სასამართლოს ხარჯების ანაზღაურებას. მაშინ, როდესაც ელდენი ამტკიცებს, რომ ის მთელი ცხოვრების განმავლობაში იტანჯებოდა „ნირვანას ბავშვის“ ტიტულის გამო და აღნიშნული თავს აგრძნობინებდა, როგორც ყველაზე ცნობილ პორნო ვარსკვლავად, არსებობს ფაქტები, როგორიც არის ის, რომ ბენდის წევრებმა თავად

[97] Sharenting and the (P enting and the (Potential) Right t otential) Right to Be Forgotten, Keltie Haley Indiana University, Maurer School of Law, Pg.2, 2020 year;

[98] Teen sues parents for posting embarrassing childhood pictures on Facebook — RT Viral; Story of Austrian teen suing parents over Facebook pictures debunked | News and current affairs from Germany and around the world | DW | 19.09.2016; 18-Year-Old Sues Parents for Posting Inappropriate Photos on Facebook Without Her Consent: What This Means for Parents on Social Media - Her View From Home;

გაუგზავნეს ჯილდოს მიღების შემდეგ სპენსერს პლატინის ალბომი და სათამაშო დათუნია, ასევე ელდინმა რამდენჯერმე ზრდასრულ ასაკში გაიმეორა ფოტოს შინაარსი და ისე შექმნა ახალი ფოტოები, ხოლო გულმკერდზე ატარებს ტატუს ალბომის სახელწოდებით. მოსარჩელე ითხოვს მოხდეს მისი პირადი ცხოვრების პატივისცემა და საბავშვო პორნოგრაფიის გავრცელების შეჩერება ფოტოს ალბომის გარეკანიდან მოშორების საშუალებით.[99] აღნიშნული საქმე იწვევს საზოგადოების გახლეჩას, რადგან მოსარჩელის მოთხოვნა და ის შედეგი რის დადგომასაც ცდილობს, გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. აღნიშნული ფაქტი კიდევ უფრო მეტად მიუთითებს კონკრეტული რეგულაციების აუცილებლობაზე, ასევე მოთხოვნის წაყენების ვადებსა და პირობებზე.

კანონში არ არსებობს კონკტერული მითითება იმაზე, თუ როგორ უნდა მოახდინონ მშობლებმა ან ზოგადად უფროსებმა არასრულწლოვნების პირადი ინფორმაციის ფოტო, ვიდეო ან სხვა მასალის, სოციალურ ქსელში განთავსება ან სხვა სახით გავრცელება, ყველა ქმედება, კანონი თუ დათქმა, პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდეს არასრულწლოვანის ინტერესებს უპირატესად. მაშინ, როდესაც მშობელთათვის აღნიშნული უწყინარი ქმედებაა, რომელიც სამომავლოდ მოგონებების შენახვის ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს, ბავშვისთვის, ან უკვე სრულწლოვნებას მიღწეული პიროვნებისთვის, კი შეიძლება ძალიან არასასიამოვნო და შემაწუხებელიც იყოს მისი პირადი ინფორმაციის ინტერნეტ სივრცეში განთვსება. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ინტერნეტ სივრცე არ წარმოადგენ სრულად დაცულ სფეროს, შესაბამისად ღიად გაზიარებული ფოტო ან ვიდეო მასალა, შეიძლება იქნეს გამოყენებული სხვადასხვა მიზნით, რაც დააზიანებს ბავშვის პირად სივრცეს. დღეისათვის მრავლად ვხვდებით ცნობილ სახეებს, რომლებიც საკუთარ არასრულწლოვან შვილებს უქმნიან სოციალურ ქსელებში პროფილებს, რაც ერთ-ერთი საშუალებაა, მოგონებების შენახვასთან ერთად, სოციალური პლატფორმებით გარკვეული

[99] Spencer Elden, naked baby on Nirvana's 'Nevermind' album cover, is suing the band - CNN; Nirvana sued by the baby from Nevermind's album cover - BBC News;

შემოსავლის მიღებისა, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ბავშვის ფოტოები სოციალური ქსელიდან უნებართვოდ აიღეს და განათავსეს ზრდასრულებისთვის გათვალისწინებულ საიტებზე.[100]

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ არც ცნობილი და არც „ჩვეულებრივი" ბავშვის პირადი ინფორმაცია არ არის დაცული სოციალურ ქსელში, ხოლო მშობლებს არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა ან/და გამოცდილება, რომ დაიცვან საკუთარი შვილები ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული რისკებისგან.[101]

სახელმწიფოს და საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ ბაზებსა თუ ინფორმაციაზე, პირადი ინფორმაციის დაცვის კუთხით კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ენიჭება. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა შემთხვევა, როდესაც ბავშვთა და ოჯახის დაცვის სააგენტოს წარმომადგენელმადგენლების მხრიდან 2018-2019 წლებში რამდენჯერმე მოხდა პირადი ინფორმაციის გასაჯაროება. ერთ შემთხვევაში ძალადობაში ეჭვმიტანილ პიროვნებას გაუმხილეს დედისა და შვილის საკონტაქტო ინფორმაცია და საცხოვრებელი ადგილის მისამართი. ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც დროებით აღზრდისთვის ოჯახში მიბარებული ბავშვების საკონტაქტო მონაცემები, სკოლისა და სახლის მისამართები ცნობილი გახდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მამისთვის, რომელმაც შემდგომ ეს ინფორმაცია გამოიყენა ბავშვებთან დასაკავშირებლად. ასევე მსგავსი სიტუაციაში კიდევ აღმოჩნდნენ დროებით ოჯახში მყოფი ბავშვები, რომელთა ინფორმაცია გაანდეს ბებიას და ბაბუას, რომლებიც პირდაპირ დაუკავშირდნენ ოჯახს და მოსთხოვეს ბავშვების დაბრუნება.[102]

---

[100] Kids' photos found on porn site: Mother says she'll never post another picture online - Kidspot

[101] Sharenting and the (P enting and the (Potential) Right t otential) Right to Be Forgotten, Keltie Haley, Indiana University, Maurer School of Law, 2020 წ.;

[102] Tusla 'accidentally disclosed' contact and location information of mother and child victim to alleged abuser (thejournal.ie)

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანია მზრუნველობამოკლებული ბავშვების უფლებების დაცვის საკითხს სახელმწიფო მოეკიდოს მეტი ყურადღებით, თუნდაც მათი განთავსება ხდებოდეს არასახელმწიფო დაწესებულებაში. მნიშვნელოვანია ბავშვების პირადი ინფორმაცია დაცული იყოს საჯარო გავრცელებისგან, რასაც სამწუხაროდ ჰქონდა ადგილი ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ობოლ და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა პანსიონატში.[103] ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული ჯარიმა პანსიონატს და მის ხელმძღვანელსაც უნდა დაკისრებოდა.

არასრულწლოვნის პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევა შეიძლება გახდეს გამოუსწორებელი და ძალიან რთული შედეგების მომტანი ბავშვის განვითარებისთვის, მენტალური ჯანმრთელობისთვის, ან მომავალ ცხოვრებისთვის. შესაბამისად აუცილებელია მკაცრად კონტროლდებოდეს არასრულწლოვანთა ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის პროცესი.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო უცნობს არაერთ საქმეს, რომლითაც არასრულწლოვნის პირადი ინფორმაციის გავრცელებით ხდებოდა ზიანის მიყენება. მაგალითად:

- სიოდერმანი შვედეთის წინააღმდეგ საქმეში, შვედეთის მოქალაქე ელზა სიოდერმანს, როდესაც ის 14 წლის იყო სააბაზანოში დამალული კამერით უღებდა მამინაცვალი, როდესაც ის შიშველი იყო. იმ დროს შვედეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სასჯელს პირის თანხმობის გარეშე მის გადაღებაზე. აღნიშნულზე იმსჯელა ევროსასამართლომ და დაადგინა მე-8 მუხის დარღვევა, რაც გულისხმობს პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევას.[104]
- საქმეში კ.უ. ფინეთის წინააღმდეგ მოხდა 12 წლის ბიჭის მონაცემების განთავსება ინტერნეტ გაცნობისთვის განკუთვნილ საიტზე, სადაც მითითებული იყო, რომ ის სექსუალური ხასიათის ურთიერთობისთვის

[103] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური (personaldata.ge)

[104] Grand Chamber Judgment S_derman v. Sweden - covert filming of minor girl.pdf

ეძებდა მის თანატოლ ან/და უფროს მამრობითი სქესის პიროვნებას. აღნიშნული ბავშვისთვის ცნობილი გახდა მას შემდეგ რაც დაინტერესებულმა მამაკაცმა შეთავაზება გაუგზავნა ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ინტერნეტ პროვაიდერმა არ გაამხილა იმ პიროვნების ვინაობა ვინც არასრულწლოვნის ფოტომასალა გამოიყენა და გაავრცელა ცრუ რეკლამა, ასევე ფინეთის სასამართლომ არ დაავალდებულა პროვაიდერი დამნაშავის ვინაობის გამხელაში. შესაბამისად ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა და დაადგინა მე-8 და მე-13 მუხლების დარღვევა, რაც პირადი ცხოვრების ხელყოფასთან ერთად გულისხმობდა ეფექტიანი მართლმსაჯულების ხელყოფასაც.[105]

- ტლაპაკი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ, აპელირებდნენ, რომ მათ საქმეში მოხდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან გერმანიის სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს მშობლის უფლების ნაწილობრივ შეზღუდვაზე საქმის დროულად განხილვა.

  ამ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევოპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

  საქმის დეტალები კი მდგომარეობდა შემდეგში, მომჩივანი ოჯახები წარმოადგენდნენ თორმეტი ტომის ეკლესიის (Zwölf Stämme) წევრებს, რომელიც მდებარეობდა ბავარიაში (გერმანია) ორ კომუნად. ამ კომუნებში სამიდან თორმეტ წლამდე ბავშვებს ჯოხისა და წკნელის საშუალებით სჯიდნენ. 2012 წელს როდესაც აღნიშნულზე ტელევიზიები ალაპარაკდა და გავრცელდა დასჯის ამსახველი ვიდეოები, ბავშვები სახელმწიფომ ოჯახებს მოაშორეს და გადაიყვანეს დროებით ოჯახებში.

  საქმის განხილვა გრძელდებოდა წელიწადი და ერთი თვე, რაც სასამართლოს მითითებით გონივრულ ვადას წარმოადგენდა, რადგან საჭირო იყო

[105] Chamber judgment K.U. v. Finland 02.12.08 (coe.int)

შესაბამის ექსპერტებს შეემოწმებინათ ბავშვების ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა.[106]

- იგივე საკითხს შეეხებოდა ვეტიენი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ, სადაც პროცედურულ ნაწილში დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.[107]
- საინტერესო გამოდგა საქმე კარლოს ტრაბაჰო რუედა ესპანეთის წინააღმდეგ. საქმის გარემოებების შესაბამისად, მოსარჩელეს დაუზიანდა კომპიუტერი, რომელიც მიიტანა შესაკეთბლად შესაბამის დაწესებულებაში. როდესაც მოწყობილობის შეკეთებას შეუდგნენ, ხელოსანმა აღმოაჩინა საბავშვო პორნოგრაფიის შემცველი მასალები, რაზეც სასწრაფოდ შეატყობინა პოლიციას და ბატონი რუედა ტექნიკის მაღაზიასთან მიმავალი დააკავეს 2007 წელს, ხოლო 2008 წელს მას მიესაჯა 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა ბავშვთა პორნოგრაფიის შენახვა/გავრცელების ბრალდებით.

  ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა და მიიჩნია, რომ მოხდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან საგამოძიებო ორგანოების მიერ არ იყო დაცული ნივთმტკიცების ამოღებისთვის გათვალისწინებული ნორმები, თუმცა კომპენსაციის დაკისრება ესპანეთისთვის არ მომხდარა, რადგან თავად აღიარება ფაქტისა, რომ მოხდა პირადი და ოჯახური ცხოვრების შელახვა ბატონი რუედასთვის უკვე წარმოადგენდა კომპენსაციას.[108]

  აღნიშნულ საქმეში მნიშვნელოვანია მოსამართლე დიმიტრი დედოვის(რუსეთი) განსხვავებული აზრი, რომელიც არ ეთანხმება კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის ფაქტს და მიუთითებს, რომ „ხელისუფლებამ უნდა დაარღვიოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ნორმები, როდესაც ამას მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესი.“ და „მოსარჩელემ ბოროტად გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ინდივიდუალური

[106] TLAPAK AND OTHERS v. GERMANY (coe.int)
[107] WETJEN AND OTHERS v. GERMANY (coe.int)
[108] Judgment Trabajo Rueda v. Spain - access to computer files without prior judicial authorisation.pdf

> მიმართვის უფლება.“, რადგან მისი აზრით როდესაც მსგავსი დანაშაულის აღმოსაფხვრელად საჭირო იყო სწრაფი მოქმედება, რაშიც ის გულისხმობს, რომ კომპიუტერში არსებული მასალა შესაძლებელი იყო ბრალდებულს ერთი ხელის დაჭერით წაეშალა, შესაბამისად პოლიციას არ ჰქონდა იმის დრო, რომ სასამართლოს ნებართვას დალოდებოდა.[109]

პირადი ინფორმაციის გავრცელებას შესაძლებელია მოყვეს მატერიალური და მორალური ზიანის დადგომა. მაშინ როდესაც მატერიალური ზიანი კანონმდებლობის შესაბამისად შესაძლებელია დაანგარიშდეს, მორალურ ზიანზე იგივეს ვერ ვიტყვით, შესაბამისად კომპენსაციის ოდენობა მთლიანად დამოკიდებულია მოსამართლის გადაწყვეტილებაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის შესაბამისად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში.[110]

სხვა სახელმწიფოების პრაქტიკას თუ გადავხედავთ, დიდი ბრიტანეთის მოდელი სამაგალითოდ ითვლება არამატერიალური ზიანის ანაზღაურების კუთხით, რადგან პროფესიონალი ფსიქოლოგების, იურისტების, ეკონომისტებისა და სხვა ექსპერტების შრომის შედეგად შედგენილია ცხრილები, რომლელშიც განსაზღვრული აქვთ არაქონებრივი ზიანის გამომწვევი მიზეზების შესაბამისად დამდგარი შედეგით მოტანილი ზიანის ანაზღაურების ოდენობა.[111]

დასკვნა

სრულად უწყინარი ქმედებებით არის შესაძლებელი არასრულწლოვანთა პირადი ინფორმაციის გავრცელება და შესაბამისად მძიმე შედეგებამდე მისვლა.

არასრულწლოვანთა პირადი სივრცე და ინფორმაცია ზერელედ არის გადახედილი, რაც გულისხმობს იმას, რომ ოჯახშივე ხშირად ირღვევა ბავშვის ეს უფლება. აღნიშნულს ძირითადად განაპირობებს მშობლისა და შვილის ურთიერთობა,

[109] CASE OF TRABAJO RUEDA v. SPAIN - [Spanish Translation] by the Spanish Ministry of Justice.pdf
[110] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)
[111] COMPENSAT ION OF MORAL DAMAGE IN RUSSIA AND THE ANGLO-SAXON LEGAL SYSTEM COUNTRIES

ასაკის გამო უფროსზე დამოკიდებულება. პირველ რიგში მნიშვნელოვანია კანონმდებლობის საშუალებით დარეგულირდეს არასრულწლოვნის პირადი სივრცის საკითხი, რისთვისაც აუცილებელია მშობლებისთვის განისაზღვროს ასაკთან შესაბამისი შეზღუდვები და მათი ფარგლები, რაც მიზანშეწონილი იქნება ბავშვის უსაფრთხოების დაცვისთვის. ამ ფარგლებიდან გადაცდომა კი უნდა გახდეს დასჯადი ქმედება.

არასრულწლოვანთა პირადი ინფორმაციის გავცელებით მიყენებული არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში საჭიროა ჩამოყალიბდეს ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმები. მაგალითად ისევე, როგორც ეს გათვალისწინებულია ანგლო-საქსონურ ქვეყნებში.

პირადი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაშიც საჭიროა განვასხვაოთ ინფორმაციის გავრცელება მიზანმიმართულად მოხდა თუ გაუფრთხილებლობის გამო. გაუფრთხილებლობით ინფორმაცია შესაძლებელია გავცელდეს, როდესაც პირს არ ჰქონდა მიზანმიმართულად განზრახული და გაცნობიერებული ინფორმაციის გასაჯაროება, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც პირი აცნობიერებს შედეგს და უნდა ამ შედეგის დადგომა.

შესაძლებელია არასრულწლოვნის შემთხვევაში შედეგი არ დადგეს იმავდროულად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლებელია ბავშვმა, რომელიც ვერ აანალიზებს და არ გააჩნია კონტროლი ზრდასრული ადამიანების ქმედებაზე, წლების შემდეგ გაანალიზოს ქმედების სიმძიმე. აღნიშნულისთვის კი ასევე მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას და მისი წაყენების გამომწვევ პირობებს.

ბავშვის განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობის გამო საჭიროა მოხდეს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმების სწორი გათვლა შესაბამისი ექსპერტების მიერ. მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ სავარაუდო შედეგები, ხოლო ანაზღაურების საკითხი უნდა დარეგულირდეს ისე, რომ არცერთი მხარის უფლებები არ შეილახოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

საკანონმდებლო აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია;
4. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;
5. ევროპის საბჭოს კონვენცია პერსონალური ინფორმაციის ავტომატური დამუშავების პროცესში ინდივიდთა დაცვის შესახებ, 1981/საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 14/12/2005;
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
7. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ;
8. ბავშვის უფლებათა კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)
9. „ბავშვის უფლებათა კოდექსი" (რეგისტრაციის № 07-3/282/9, ინიციირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)
10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)
11. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)
12. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" დამტკიცების თაობაზე" | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)
13. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია | CSO.GE;
14. Geneva Declaration of the Rights of the Child of 1924 - UN Documents: Gathering a body of global agreements (un-documents.net);
15. UN Declaration on the Rights of the Child (1959) | CRIN;

16. General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1),
17. German Press Code – file:///C:/Users/user/Downloads/Press%20Code.pdf
18. Accountable Journalism - Croatian Journalist Association : Journalists Code of Honor;
19. Global_Charter_of_Ethics_EN (1).pdf
20. Data Protection Act 2018 (legislation.gov.uk)
21. COPPA - http://www.ftc.gov/ogc/coppa1.htm (cmu.edu)
22. CONSOLIDATED VERSIONS OF THE TREATY ON EUROPEAN UNION AND THE TREATY ON THE FUNCTIONING OF THE EUROPEAN UNION,https://eur-lex.europa.eu/legal content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:12016ME/TXT&from=EN
23. ევროპის საბჭოს დებულება;

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11;
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე _ ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.4;
3. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა - De May v. Roberts, 9 N.W. 146 (MIch 1881);
4. JUDGMENT OF THE COURT (Grand Chamber) CURIA - Documents (europa.eu);
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის N2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

6. თბილისის სააპელიაციო სასამართლოს განჩინება საქმე №2ბ/3275-15, 6 ოქტომბერი 2015 წელი;
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/7/454 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.1;
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 24/10/2012 №1/2/519,საქმის დასახელება: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
9. საქმეების სრული სია (qartia.ge)
10. Grand Chamber Judgment S_derman v. Sweden - covert filming of minor girl.pdf
11. Chamber judgment K.U. v. Finland 02.12.08 (coe.int)
12. TLAPAK AND OTHERS v. GERMANY (coe.int)
13. WETJEN AND OTHERS v. GERMANY (coe.int)
14. Judgment Trabajo Rueda v. Spain - access to computer files without prior judicial authorisation.pdf
15. CASE OF TRABAJO RUEDA v. SPAIN - [Spanish Translation] by the Spanish Ministry of Justice.pdf

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო ჩართულობა - ნათია გორგაძე /2020წ./;
2. ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები - ღირსება - ფრიდონ საყვარელიძე;
3. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, კანონმდებლობის კვლევა- გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017 წელი;
4. ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამართლებრივი გარანტიები - ავტორი: მარიამ ბობოხიძე, 2020 წელი;

5. დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა (სატრენინგო მასალები), თავი I. ლიბერალიზმი, §1. ადამიანის უფლებათა არსი და მნიშვნელობა (თბილისი: თბილისის პროექტთაბიურო, 2007) მალხაზ ბეგიაშვილი, დავით ბოსტოღანაშვილი, დიანა ლეჟავა, დავით ლოსაბერიძე, მარიამ მკალავიშვილი, სოლომონ ნოზაძე, გიორგი ნოძაზე;
6. ევროპის მინისტრთა კომიტეტის „სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე“ - 2008-2009 წლები;
7. ეთიკური პრობლემები ქართულ ონლაინ მედიაში სოციალური ქსელების გამოყენებისას, ნატა ძველიშვილი, 2015 წელი;
8. თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია - ლევან იზორია, 2009 წელი;
9. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო - ლუქსემბურგი: ევროკავშირის საგამომცემლო სახლი, ჯიაკუმოპულოს, ჯიოვანი ბუტარელი, მაიკლ ო'ფლერთი, 2018 წელი
10. საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები - აკაკი გაწერელია, დიმიტრი გეგენავა, კარლ-პეტერ ზომერმანი, ირაკლი კობახიძე, ზვიად როგავა, სანდრო სვანიშვილი, პაატა ტურავა, კობა ყალიჩავა, გიორგი ხუბუა, თბილისი 2016 ;
11. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, 2017.წ.
12. ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა - ირმა გელაშვილი; თბილისი 2012;
13. Children's Rights: Towards Social Justice, Anne B. Smith, 2016 წ;
14. Digital Identity Management on Social Media: Exploring the Factors That Influence PersonalInformation Disclosure on Social Media, Joseph Kwame Adjei, Samuel Adams, Isaac Kofi Mensah, Peter Ebo Tobbin and Solomon Odei-Appiah, 2020 წ;
15. EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and the Proposed General Data Protection Regulation | European Data Protection Supervisor (europa.eu)

16. European Union Strategy on the Rights of the Child UNICEF calls on EU Institutions and Member States to ensure that the Strategy includes a strong external dimension
17. "Forbidding Advertisement Through Child Exploitation Act of 2013." OpenCongress - Track bills, votes, senators, and representatives in the U.S. Congress (formspal.com)
18. Handbook on European law relating to the rights of the child- Snežana Samardžić-Marković Director General of Democracy Council of Europe and Constantinos Manolopoulos Director a.i. of the European Union Agency for Fundamental Rights, 2015;
19. Legal Applications of the "Best Interest of the Child" Standard: Judicial Rationalization or a Measure of Institutional Competence? 2014 წ.
20. PRIVACY FOR CHILDREN, Benjamin Shmueli and Ayelet Blecher-Prigat, pg.3, 2011 year;
21. Sharenting and the (P enting and the (Potential) Right t otential) Right to Be Forgotten, Keltie Haley, Indiana University, Maurer School of Law, 2020 წ.;

სტატიები:

1. ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები - ღირსება - ფრიდონ საყვარელიძე;ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები - ღირსება (tolerantoba.ge)
2. "ვითომ ვინმე უშლის შვილზე ზრუნვას... 237 ლარი დახარჯე და ერთი ამბავი ატეხე" - ნეკა დოროყაშვილი ნიკოლოზ ბასილაშვილს პასუხობს | Ambebi.GE
3. https://www.alia.ge/14-tslis-gogonam-thavi-moikla/
4. https://www.ambebi.ge/article/256373-akamde-ar-vuchivle-bavshvi-rom-daorsulda-da-axla-r/

5. "ბავშვი იყო გამოუცდელი და კაციჭამია, სისხლისმსმელმა ვამპირმა შეაშინა" - 16 წლის გოგოს დედა "ფეისბუქზე" შვილის შესახებ წერს | Ambebi.GE
6. Blue Whale game is a suicide challenge for teenagers (underspy.com); Blue Whale Game:Dangerous for Kids And Youth - Notes Read;
7. "ბავშვი იყო გამოუცდელი და კაციჭამია, სისხლისმსმელმა ვამპირმა შეაშინა" - 16 წლის გოგოს დედა "ფეისბუქზე" შვილის შესახებ წერს | Ambebi.GE
8. სკანდალური გადაცემა "ბავშვთა ონანიზმზე" და აღშფოთებული საზოგადოება - mshoblebi; ნეტგაზეთი | გადაცემაში ბავშვის "მასტურბაციის" კადრების გასაჯაროების გამო პროკურატურას მიმართეს (netgazeti.ge) არასრულწლოვნები, სუიციდი და „ლურჯი ვეშაპი" (radiotavisupleba.ge)
9. სექსუალური ძალადობა 14 წლის შვილზე - ბავშვის დედა ოჯახის ტრაგედიაზე პირველად "კურიერთან" ალაპარაკდა | Rustavi2
10. ქობულეთში გარდაცვლილი 14 წლის მოზარდის ბაბუამ შვილიშვილზე ძალადობა აღიარა – პროკურატურა | (xnews.ge);
11. ქობულეთში გარდაცვლილი 14 წლის გოგონას ბაბუას ბრალი წარედგინა - სასამართლო პროცესი 17 თებერვალს გაიმართება | Ambebi.GE;
12. "უმოწყალოდ სცემეს ბიძებმა, წიხლქვეშ აგორეს, რატომ გააკეთე ასეთი რამე, გაგვაპაზორეო" - რას ჰყვება ქობულეთში გარდაცვლილი 14 წლის გოგონას დედა? - Palitra TV-Radio (palitravideo.ge)
13. EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and the Proposed General Data Protection Regulation | European Data Protection Supervisor (europa.eu)
14. European Union Strategy on the Rights of the Child UNICEF calls on EU Institutions and Member States to ensure that the Strategy includes a strong external dimension. https://www.unicef.org/eu/european-union-strategy-rights-child

15. "Forbidding Advertisement Through Child Exploitation Act of 2013." OpenCongress - Track bills, votes, senators, and representatives in the U.S. Congress (formspal.com) Social Media Service, Minors, and Photos | Social Media Law Bulletin
16. Teen sues parents for posting embarrassing childhood pictures on Facebook — RT Viral; Story of Austrian teen suing parents over Facebook pictures debunked | News and current affairs from Germany and around the world | DW | 19.09.2016;
17. 18-Year-Old Sues Parents for Posting Inappropriate Photos on Facebook Without Her Consent: What This Means for Parents on Social Media - Her View From Home
18. Kids' photos found on porn site: Mother says she'll never post another picture online - Kidspot
19. Tusla 'accidentally disclosed' contact and location information of mother and child victim to alleged abuser (thejournal.ie)
20. Spencer Elden, naked baby on Nirvana's 'Nevermind' album cover, is suing the band - CNN;
21. Nirvana sued by the baby from Nevermind's album cover - BBC News

ლექსიკონები:

- მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004
- ადამიანის უფლებათა ლექსიკონი / [შეადგინა ფრიდონ საყვარელიძემ ; რედ.: ანა ჭაბაშვილი] - თბ. : დასი, 1999 - 128გვ;

სტატისტიკური მონაცემები:

- სატელევიზიო არხების წინასაარჩევნო მონიტორინგი 2013 წელი;
- 2021-სტატისტიკა-6-თვე-პერსონალურები.pdf (personaldata.ge)

რეცენზია

არასრულწლოვნის პირადი ინფორმაციის გავრცელებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მაძიებელი : მარიამი კერესელიძე

რეცენზენტი: სამართლის მაგისტრი, მაკა ბუიღლიშვილი

შესავალი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეხება არასრულწლოვანთა პირადი ინფორმაციის გავრცელებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს.

ნაშრომის შედგება შესავლის, აბრევიატურის ჩამონათვლის, გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვის, ხუთი თავისა და დასკვნისგან.

მიგვაჩნია, რომ ნაშრომი შედგენილია თანმიმდევრულად, სტრუქტურა მწყობრი და ლოგიკურია, შესაბამისად იკვეთება ორგანული კავშირი თავებსა და პარაგრაფებს შორის.

ავტორი ლიტერატურის მიმოხილვისას აქცენტს აკეთებს შედარებით სამართლებრივ ანალიზზე. მიმოხილულია, როგორც შიდა ეროვნული კანონმდებლობა და ქართულენოვანი ლიტერატურა, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი წყაროები.

ძირითადი ნაწილი

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს:

- არასრულწლოვანთა სამართლებრივი მდგომარეობა;

- არასრულწლოვანთა პირადი ინფორმაციის დაცვა და მისი გარანტიები;
- არასრულწლოვანთა პირადი ინფორმაციის არამიზანმიმართული გავრცელების სხვადასხვა ასპექტები;
- არასრულწლოვანთა პირადი ინფორმაციის გავრცელებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მნიშვნელობა;

ვფიქრობთ, ავტორმა კარგად გაართვა თავი დასახულ ამოცანას, რადგან ნაშრომში განხილულია, როგორც თეორიული მასალა, ასევე გაანალიზებულია ის პრაქტიკული საკითხები, რომელსაც აქტიურად ვხვდებით სასამართლო პრაქტიკაშიც.

ნაშრომში მოცემულია არაერთი სასამართლო გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებანი), ასევე განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა (იხ. თავი - არასრულწლოვნის პირადი ინფორმაციის გავრცელებით მიყენებული ზიანი).

რეცენზენტის მოწონებას ასევე იმსახურებს, ავტორის მიერ მოხმობილი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ეხება სატელევიზიო არხების მონიტორინგს 2013 წლის წინასაარჩევნო პერიოდსა და პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის მიერ წარმოდგენილ მონიტორინგს 2021 წელს პერსონალური ინფორმაციის უკანონო დამუშავების შედეგად არსებულ დარღვევებზე.

ვეთანხმებით ავტორს იმასთან დაკავშირებით, რომ არასრულწლოვანთა პირადი ინფორმაციის გავრცელება ხშირად ხდება უკანონოდ და აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რათა ბავშვებმა, როგორც საზოგადოების სრულფასოვანმა წევრებმა იგრძნონ თავი დაცულად. შესაბამისად საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რადგან სამართალდარღვევას მოჰყვეს შესაბამისი შედეგი.

წარმოდგენილ კვლევაში სწორედ ამ კუთხითაა საკითხს ირგვლივ ფოკუსირება და შემოთავაზებულია ავტორის რეკომენდაციები და მოსაზრებანი. ამასთან ავტორი თამამად მიუთითებს დარღვევებზეც და სამართლებრივ ხარვეზებზეც.

რეცენზენტის ძირითადი რეკომენდაციები და შენიშვნები

ვფიქრობთ, სამაგისტრო ნაშრომი მეტ სამეცნიერო ღირებულებას შეიძენდა თუ ავტორი კიდევ უფრო მეტად განიხილავდა კანონმდებლობის ხარვეზებს არასრულწლოვანთა პირადი ინფორმაციის დაცვის მიმართულებით.

დასკვნის სახით განვმარტავთ, რომ სამაგისტრო კვლევა შესრულებულია სამეცნიერო სტანდარტების შესაბამისად და იმსახურებს დადებით შეფასებას, მიუხედავად ჩვენს მიერ დაფიქსირებული მცირედი შენიშვნისა, ამასთან ვთვლით, რომ ავტორმა ნაშრომში შეაჯერა კვლევის შედეგები, შეაფასა მეთოდოლოგიის ეფექტურობა, გამოკვეთა კვლევის შედეგის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

სამართლის მაგისტრი

მაკა ბუიღლიშვილი

03/09/2021